


განმათავისუფლებელი

დამოუკიდებელი ეროვნული გაზეთი 2015 წ. ოქტომბერი * №46 * ფასი 1 ლარი
გამოდის 2003 წლის დეკემბრიდან



ს ა ქ ა რ თ ე ე ლ თ
ძ ა რ თ ლ ძ ა დ ე ბ ლ უ რ ი ს ა ხ ე ლ ძ ი უ კ ა

ჩიტიძის ქუჩის წმ. ნინოს ტაძარი, XVIII ს.



ტ ა ზ ე თ ა ტ ო ნ ი ე რ ა
ქ ი თ ი ნ ე უ ლ ე ბ ა ს თ ე ო ს

მ ა მ უ ლ დ
ე ნ ა
ს ა ზ ე მ უ ნ ა ე ბ ა

**რა გზით უნდა გაგრძელდეს დღეს
ეროვნული მოძრაობა?**

გვ. 4

**რატომ მოაფარა თვალს სახელოვან მამულიშვილთა
მარმარილოს დაფაბი პირველი კლასიკური გიმნაზიის
ახალმა დირექტორმა?!**

გვ. 8

მამა გიორგი ჯიბუჭის ტრაგედია

გვ. 13

გლის მოსახლეობის რუსიფიკაცია, მზადება ტერიტორიული მოწყვეტისთვის

ლელია ტოგაია



საქართველოს საგარეო საქმეთა ახალი მინისტრისა და ვიცე-პრემიერის გიორგი კვიციანიანის განცხადება: „ძალიან ბევრი საინტერესო რამ ხდება მსოფლიოში, პროდასავლური მიმართულების გარდა, ეს არის, რა თქმა უნდა, აღმოსავლეთთან ურთიერთობები, ეს არის ახალი მოვლენები ევრაზიის კონტინენტზე“ (<http://www.liberali.ge/ge/liberali/news/127445/>) აშკარა და პირდაპირი მინიშნებაა წყვეულ ევრაზიულ კავშირზე და ეს მას შემდეგ, რაც საქართველოში, ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა ოფიციალურად გახსნა (26 აგვისტო, 2015) ნატო-საქართველოს ერთობლივი წვრთნისა და შეფასების ეროვნული სასწავლო ცენტრი „კონანისის“ ტერიტორიაზე (შეგახსენებთ, რომ ნატოს ერთობლივი საწვრთნელი სამხედრო ბაზის საქართველოში მშენებლობა 2014 წლის ნოემბერში დაიწყო).

ეჭვგარეშეა, რომ საქართველოს სახელმწიფოს არაფორმალურმა მმართველმა ბიძინა ივანიშვილმა, საგარეო საქმეთა ყოფილი ქალ-მინისტრების, ფანჯიკიძე-ბერუაშვილზე მეტად საიმედოდ, გიორგი კვიციანიანის პერსონა დაიგულა და მისით რუსეთთან პოლიტიკური ურთიერთობის აღდგენა და საქართველოს რუსეთთან ინტეგრაციის განზრახვის სისრულეში მოყვანა სურს; ამ გეგმით, მოსალოდნელია, რომ აბაშიძე-კარასინის აქამდე ბუტაფორიულ ფორმატს, კვიციანიანის თავის ნამდვილ ფუნქციას შესძენს და ერთ-ერთ მძლავრ ბერკეტად აქცევს რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენაში, რაც რუსეთში, უთუოდ საქართველოს საელჩოს ხელახალი გახსნით დაგვირგვინდება. და რას მიიღებს საქართველო ისტორიულად აპრობირებული ამგვარი ხელშეკრულებებით და სამარცხვინო დათმობებით? მიუხედავად რუსეთ-საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენისა, რუსეთი ხელს არ აიღებს გალის ტერიტორიის იურიდიულად მიტაცების განზრახვებზე და ამასთანავე, კვლავაც გააგრძელებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების მიმდებარედ მცოცავ ანექსიებს, რის პასუხადაც, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრო, ანუ კვიციანიანი-ბერუაშვილმა ალარ გაავრცელებს

გაგრძელება გვ. 2

ჯღჯგენენ თუ ზრა მერაბის მემორიალს პორითთან?...



საქართველოს ეროვნული გმირის მერაბ კოსტავას წინააღმდეგ საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების მიერ 1989 წლის 13 ოქტომბერს დაგეგმილი სპეცოპერაციით, სავარაუდოდ სახელწოდებით - „ავტოავარია“, მერაბის ფიზიკური ლიკვიდაციიდან რამდენიმე თვეში, ზვიად გამსახურდიას მოთავეობით, ხარაგაულის რაიონის სოფელ ბორითთან, ავარიის საპირისპირო მხარეს დაიდგა მერაბის შავი მარმარილოს დაფა და ნიკელის ჯვარიც ანალოგიური წარწერით „მერაბ კოსტავა“ (იხ. ფოტო →). ავარიის ადგილას, როგორც რისკის შემცველი რთული რელიეფური მოსახვევის გამო (და ეს ფაქტორიც მჭიდროდ დამაჯერებლობისთვის, უთუოდ ზუსტად გაითვალისწინა

უშიშროებამ სპეცოპერაცია „ავარიის“ დაგეგმვის პროცესში), მას შემდეგაც შირიად მომხდარა ავარიები და სტიქიის (წყალდიდობის, გრივალის) შე-



დეგადაც მემორიალი და რკინის რიკულებიც მოირყა, ხოლო საბოლოოდ დაინგრა და განადგურდა კიდევც.

ამ მოვლენაზე ეროვნული მოძრაობის ახალგაზრდა წარმომდგენელმა ირაკლი შონიამ ხმაურიანი განცხადება გააკეთა საკუთარ facebook-ზე და გამოაქვეყნა ფოტოებიც, რაზეც უმაღლეს ხარაგაულის გამგებელმა კობა ლურსმანაშვილმა და უურნალისტმა ნინო მიქიაშვილმა, რომლებმაც ირაკლი შონია დაამუნათეს, რომ იგი, თითქოს არასწორ ინფორმაციას ავრცელებდა მემორიალთან დაკავშირებით და აქცენტები გააკეთეს ახალ სკვერზე, კერძოდ: ამა წლის 26 მაისს პრო-ეროვნულმა სახელისუფლო ძალებმა, პირვანდელი მემორიალის ახლოს

გახსნეს ახალი სკვერი ადრინდელ ობელისკთან სადაც დადგეს იგივე, მაგრამ რესტავირებული მემორიალიც (იხ. პირველი ფოტო გამგებელ ლურსმანაშვილითურთ და ძველი(მოგვიანებით დადგმული ობელისკის).

კეთილი და პატიოსანი, მაგ-

რიტორია კი შემოსაზღვროს უფრო დაცული მასიური რკინის რიკულებით, რამეთუ მხოლოდ იგია ძველი და არა პოსტ-საბჭოთა ხელისუფლების მიერ 2015 წელს გახსნილი სკვერი!

თვალსაჩინოებისათვის, ასე გამოიყურებოდა მერაბის პირ-



რამ ჩვენი მოთხოვნაა, რომ ცენტრალურმა ხელისუფლებამ ადგილობრივ ხელისუფლებასთან ერთად იზრუნოს ზვიად გამსახურდიას მიერ დადგმული პირვანდელი მემორიალის, თუნდაც ამ გადარჩენილი ნაწილის პირვანდელ ადგილას აღდგენაზე, მითუმეტეს, როდესაც იმ ადგილზე უფლებად არის შემორჩენილი ნიკელის ჯვარი(იხ. ფოტო). ხოლო აღდგენილი ტე-

ვანდელი მემორიალი პირვანდელ ადგილზე და ასეთია დღევანდელი დღის სურათი ჯვრის გაღმა გადაგდებული საძირკვლით და 1989 წლის დროინდელი შემორჩენილი შენობა-ნაგებობის მდებარეობის ჩვენებით.

დასანანია, რომ უურნალისტი ნინო მიქიაშვილი ადგილობრივი ხელისუფლების მალაჩინოსნის მოკავშირე აღნოჩნდა და არა ჩვენი... (რედ.)

მერაბის განცხადება



კოლონიის უფროსის და ქალაქ ანგარსკის პროკურორის სახელზე დაწერილი: „დიდი ხანია, გთხოვთ, მომანყით სამუშაოზე სანარმოო ზონაში. თქვენ უგულვებელყოფთ ჩემს მოთხოვნას და ყოველგვარი საშუალებით ცდილობთ, ჩემი ნების საწინააღმდეგოდ, მაიძულოთ, ვიმუშაო სამეურნეო საქმიანობაში. ვაცხადებ შიმშილს. მანამდე ვიშინილებ, სანამ არ დააკმაყოფილებთ ჩემს მოთხოვნებს. გთხოვთ, მომცეთ საშუალება, ვიმუშაო და აღიმენტიც გადახდა შევძლო!“

მერაბ კოსტავას უკანასკნელი ინიციატივა


მერაბ კოსტავა ფულის დანიშნულებაზე. უკანასკნელი და განუხორციელებელი ინიციატივა – ქვრივთა, ობოლთა, უპოვართა, მარტოხელთა დასახმარებლად და საქართველოში შრომის სტიმულირების ხელშეწყობა.

საქართველოს საადგილმამულო, მოსახლეობის განსახლებისა და დახმარების ფონდი გათვალისწინებული იმავი მიზნების აღსარსებლად, რაიც თავს იდვა მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში დიდი ილიას მიერ დაარსებულმა სათავადაზნაურო ბანკმა. როგორც ერთი, ისე მეორე ორგანიზაციის მიზანი იყო და არის ქვეყნის დემოგრაფიული და ეკონომიკური კრიზისიდან გამოყვანა, ქრისტიანულ-საქველმოქმედი საქმეთა განხორციელება, ქვრივთა, ობოლთა უპოვართა, ხეიბართა და მარტოხელთა მოხუცთა მოკითხვა და მოვლა-პატრონობა.

თავის დროზე ფრანგმა უტოპისტმა სოცალისტმა სენ-სიმონმა შენიშნა, რომ როგორც პიროვნებას, ასევე სახელმწიფოს შეუძლია არსებობა პროდუქციის წარმოების ან კორუფციის გზით. სსრ კავშირი დაადგა არა პროდუქციის წარმოების, არამედ სხვადასხვა ფორმით კორუფციის გზით არსებობის გზას. მოქალაქეთა ხელფასები და პენსიები არ შეესაბამება საარსებო მინიმუმს, რაც სტიმულს არ აძლევს საზოგადოების განვითარებას. სსრ კავშირში შემავალი ყველა რესპუბლიკა განიცდის მძიმე ეკონომიკურ და მორალურ კრიზისს, ყოველივე ამან გამოიწვია საზოგადოების ნაწილის გარყვანა, ზემდგომ ორგანოთა წარმომადგენლებს დაარქვეს კორუმპირებული ელემენტები, ხოლო მუშებსა და გლეხებს – „ნესუნი.“ ახლად დაარსებული საზოგადოების ერთ-ერთი ძირითადი მიზანია შრომის სტიმულირების გზით საქართველო აქციოს პროდუქციის მწარმოებელ ქვეყნად, ხელი შეუწყოს ერის ეთიკურ-ზნეობრივ გაჯანსაღებას.

ცნობილი დანიელი მეცნიერის ჰანს სელიეს აზრით: ფული არ წარმოადგენს საბოლოო მიზანს, მაგრამ მასზე დადის, მისგან გამომდინარეობს და მისი მეშვეობითაა შესაძლებელი ეკონომიკური, სოციალური, ზნეობრივი და სხვა საკითხების გადაწყვეტა, აღნიშნულ ფონდში ფულადი სახსრების ჩარიცხვა ხელს შეუწყობს ზემოაღნიშნული პრობლემის მოგვარებას.

მოგინოდებთ ცალკეულ პირებს, ორგანიზაციებს, და-



წესებულებებსა და კოოპერატივებს, რომ თქვენი შესაძლებლობების ფარგლებში ყოველწლიურად გადარიცხოთ ფულადი სახსრები საქართველოს საადგილმამულო, მოსახლეობის განსახლებისა და დახმარების ფონდში.

მერაბ კოსტავა

1989 წლის 10 ოქტომბერი

წყარო: <http://lessonsgeo.wordpress.com/2014/11/12>


ნგრევა და თხრა მთავრობის ხანცელარიასთან...

საქართველოს სახელმწიფოს არაფორმალური, კულუარული მმართველი ბიძინა ივანაშვილი კვლავ განაგრძობს თვითნებობას და თბილისელების ნება-სურვილის და პროტესტის უხეში იგნორირებით, ე. წ. „პანორამა-თბილისის“ ფარგლებში, ანგრევს და ვანდალურად ჩეხს მწვანე ნარგავებს; ბულდოზერებით თხრის რა მთავრობის კანცელარიის წინამდებარედ არსებულ „თავისუფალი თეატრის“ და „გრიბოედოვის თეატრის“ ეზოს, ძირ-ფესვიანად ამოთხარა ათამდე ნაბლის ხეები და მიუხედავად მრავალი შესაბამისი სახელმწიფო ინსტიტუტებისა (მერიის გამწვანების სამსახური, ბუნების დაცვის ცალკეული დაწესებულებები), რომელსაც ევალებათ დაცვა და კონტროლი, არავინაა შემაფერხებელი ამ ვანდალიზმისა. ამ ფოტოზე, კედლის გაყოლებაზე ჩამწკრივებული იყო ნაბლის ახალგაზრდა (დაახლოებით 20-წლიანი) ნარგავები და ამ მდგომარეობაშია ახლა თეატრების ეზო, სადაც გამალებული სამუშაოები მიმდინარეობს ივანაშვილის აკვირებით და გულის გასახარად, ხოლო ბიძინას ჯიბის პრემიერ-მინისტრ ლარიბაშვილს კი, უთუოდ სასიამოვნო ხმაურად ესმის ნგრევისა და გრუსუნის ხმა თავის კაბინეტში...

ცალკე უნდა აღინიშნოს ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის თითქმის სრულად განდევნის შესახებ მცირე თუ დიდი ბიზნეს-კომპანიების მხრიდან, განსაკუთრებით ივანაშვილის ხელისუფლების პირობებში, რაზეც აქ მიმდინარე მშენებლობის ბანერებზეც მეტყველებს... (რედ.)



წაყრუება არ ებების! (მოკლე გზავნილი საზოგადოებას)



რუსეთის ფედერაციას და აფხაზეთის სეპარატისტულ ხელისუფლებას შორის „მოკავშირეობისა და სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ“ ხელშეკრულების რატო ფიცირებას მოჰყვა აფხაზეთში ყოველგვარი ქართული კვალის წაშლის უფრო ფართო და მასშტაბური ხასიათის აქტიური ქმედებები. ამ მიზნის მისაღწევად საერთაშორისო დონეზე იმართება კულტურულ-სამეცნიერო და პრო-

პაგანდისტული ხასიათის ღონისძიებები. მათი მეშვეობით სეპარატისტული რეჟიმი რუსეთის სახელმწიფოს უშუალო მითითებით და მხარდაჭერით ეწევა მიზანმიმართულ დეზინფორმაციას და ისტორიული ფაქტების გაყალბებას საქართველოს სახელმწიფო ინტერესების საზიანოდ. აფხაზეთში კულტურული მემკვიდრეობის განადგურების მცდელობის არაერთი ფაქტის ფონზე, გალის რაიონში ქართული სკოლების სტატუსის გაუქმებას და ამ სკოლებში სწავლების მთლიანად რუსულ ენაზე გადაყვანას, მოსწავლეთათვის მშობლიური ქართული ენისთვის უცხო ენის სტატუსის მინიჭებას და მისთვის კვირაში ორი საათის დათმობას ოკუპანტების მიერ დაგეგმილი კულტურული გენოციდის განხორციელებისკენ, აფხაზეთის სრული რუსიფიკაციისკენ მივყავართ. ყოველივე ამას ისიც დაემატა, რომ სეპარატისტული აფხაზეთის ე. წ. პრეზიდენტი იძულებული გახდა გაეზოვანებინა რუსეთის კატეგორიული მოთხოვნა – დაიშვას უცხოელებზე უძრავი ქონების მიყიდვა, რაც ქართული კვალის მაქსიმალურ წაშლას გულისხმობს. ხოლო ისედაც უმცირესობაში მყოფ აფხაზთა ეთნოსს აფხაზეთში უცხოელების გამრავლებით რეალური გადაშენება ემუქრება. სამწუხაროდ ოკუპანტთა ზრახვებს ხელს ისიც უწყობს, რომ აფხაზეთიდან განდევნილ მოსახლეობას, მიუხედავად მრავალი მოთხოვნისა, დღემდე არ ეძლევა აფხაზეთში არსებული საკუთრების მადასტურე-

ბელი სახელმწიფო დოკუმენტი, რაც არამარტო დევნილთა ბუნებრივ ეჭვს ბადებს აფხაზეთში საქართველოს სახელმწიფოს იურისდიქციის აღდგენის სურვილის არსებობაზე, არამედ ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის ფუნდამენტალურ ნორმას საკუთრების უფლების შესახებ. ისეთ ვითარებაში, როცა ოკუპანტი ქვეყნის აღვირახსნილობა ყველა ზღვარს გადადის და სახეზეა საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების ამკარა უგულვებელყოფა, წაყრუება მტრის ნისქელიზე წყლის მიშვების ტოლფასია, რადგან სუვერენული ქვეყნის წინააღმდეგ მიმართული ფაქტების მიზნობა აგრესორის კიდევ უფრო მეტ გათამამებას უწყობს ხელს და ნაცვლად იმისა, რომ საერთაშორისო თანამეგობრობის ყურადღება თანამედროვე რუსული ნეოიმპერიალიზმის ვანდალიზმს მივაპყროთ, გართული ვართ ყურით მოთრეული და სახელმწიფოსთვის სრულად უმნიშვნელო საკითხების აქტუალიზაციით, რითაც თანამონათღი ვხდებით ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის კატასტროფულ დონემდე შეზღუდვისა. დიდი ხანია დადგა ფაქტი გავერთიანდეთ და ერთიანი ძალისხმევით საერთაშორისო თანამეგობრობის აქტიური განხილვის საგნად ვაქციოთ ის, რასაც აგრესორი ათწლეულების მანძილზე ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ ახორციელებს.

წმინდა მამალოზიშვილი

ორი მოწმის ინტორმაციის საფუძველზე საცხოვრისში რეგისტრაციის წესი შეიცვალა

საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა ორი მოწმის ინფორმაციის საფუძველზე სხვა პირის საცხოვრისში რეგისტრაციისა და რეგისტრაციიდან მოხსნის წესი იცვლება. დღემდე მოქმედი პროცედურით, იყო ბინაში უცხო პირის დარეგისტრირების შემთხვევები, რომელიც არც ფაქტობრივად ცხოვრობდა აღნიშნულ მისამართზე და არც მესაკუთრის თანხმობა ჰქონდა რეგისტრაციისათვის; ეს კი არღვევდა მესაკუთრის უფლებებს და უზრდიდა მას კომუნალური მომსახურების გადასახადების ხარჯებს. ასევე, ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც შემთხვევით ნაპოვნი ორი მოწმის ინფორმაციის საფუძველზე პირი რეგისტრირდებოდა სხვის საცხოვრისში სხვადასხვა მიზნისათვის. ახალი რეგულაციით, სხვადასხვაგვარად რეგულირდება, ერთი მხრივ, სახელმწიფოს და მუნიციპალიტეტის, ორივე მხრივ კი – ფიზიკური პირის საკუთრებაში რეგისტრაცია. სახელმწიფოს, მუნიციპალიტეტის, ორივე მხრივ კი საკუთრებაში რეგისტრაციისათვის აუცილებელია მესაკუთრის თანხმობა და ასეთ შემთხვევებში ორი მოწმის ინსტიტუტი გაუქმდა;

ფიზიკური პირის საკუთრებაში რეგისტრაციისათვის კი საჭიროა მესაკუთრის თანხმობა ან ორი მოწმის წერილობითი დასტური, რომ რეგისტრაციის მსურველი პირი უკანასკნელი 3 თვის (ნაცვლად 1 თვისა) განმავლობაში ნამდვილად ცხოვრობს სარეგისტრაციო მისამართზე. ორივე მოწმემ უნდა დაასაბუთოს, თუ საიდან შეიძლება ჰქონდეს მათ უტყუარი ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, რომ მოცემული პირი მოცემულ მისამართზე ცხოვრობს 3 თვის განმავლობაში. აქამდე მოწმეებს ეს ვალდებულება არ ჰქონდათ. ასევე, ახალი წესის თანხმად, ორივე მოწმე გაფრთხილდება ცრუ ინფორმაციის მიწოდების შემთხვევაში მათი სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ და ამის თაობაზე საკუთარი ხელით შეავსებს გაფრთხილების გრაფას. შეიცვალა დროებითი ბინადრობის ნებართვის მქონე უცხოელთა რეგისტრაციის წესიც. დღემდე ამისათვის მხოლოდ პირადი განცხადება იყო საჭირო. ცვლილებების თანხმად, უცხო ქვეყნის მოქალაქეებმა მისამართზე რეგისტრაციისათვის ყველა ის დოკუმენტი უნდა წარმოადგინონ, რომელთა წარდგენასაც კანონმდებლობა საქართველოს მოქა-

ლაქეს ავალდებულებს. ეს თავიდან აგვაცილებს ისეთ სიტუაციებს, როდესაც საქართველოს მოქალაქე ხშირ შემთხვევაში კომუნალური გადასახადების გადახდისას ან არჩევნების წინ საკუთარ ბინაში რეგისტრირებულ მისთვის უცნობ უცხოელებს აღმოაჩენდა. გამარტივდა მესაკუთრის მიერ მის საცხოვრისში რეგისტრირებული პირის რეგისტრაციიდან მოხსნა. მესაკუთრე აღარ არის ვალდებული, წარადგინოს ორი მოწმის წერილობითი ჩვენება, რომ რეგისტრაციიდან მოსახსნელი პირი არ ცხოვრობს მის საკუთრებაში. რეგისტრაციიდან მოხსნის განაცხადთან ერთად საკმარისია, მესაკუთრემ წარადგინოს მის საცხოვრისში რეგისტრირებულ პირთა სია და ამ რიცხოვნობის დამადასტურებელი შესაბამისი კომუნალური მომსახურების (ელექტროენერჯის, წყლისა და დასაფუთავების) გადასახადების ქვითარი. გადაწყვეტილება რეგისტრაციიდან მოხსნის ან მასზე უარის თქმის თაობაზე ათი დღის ვადაში უნდა იქნეს მიღებული. ბრძანებაში ცალსახად ჩაინერა, რომ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო ვალდებულია, მესაკუთრეს მიანოდოს იმ პირთა სია, ვინც აღმოჩნდება

მის საცხოვრისში რეგისტრირებული. ამ ჩანაწერის საჭიროება განაპირობა იმან, რომ არაერთი მესაკუთრე, რომელმაც სხვადასხვა დროს იუსტიციის მინისტრს მიმართა, ჩიოდა, რომ მის ბინაში რეგისტრირებულ პირთა რიცხვი აღემატებოდა მასთან ერთად მცხოვრები პირების ოდენობას, მაგრამ ვერ იღებდა ინფორმაციას მისთვის უცნობი პირების შესახებ, რომლებიც მის საცხოვრისში იქნენ მისი ნებართვის გარეშე რეგისტრირებულნი. შესაბამისი ცვლილებები „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციისა და რეგისტრაციიდან მოხსნის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობის, პასპორტის, სამგზავრო პასპორტისა და სამგზავრო დოკუმენტის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ იუსტიციის მინისტრის 2011 წლის 27 ივლისის №98 ბრძანებაში „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ვებგვერდზე უკვე გამოქვეყნდა (<https://matsne.gov.ge/ka/document/view/2945851>).
წყარო:<http://www.info9.ge/sazogadoeba/126727-ori-motsmis-informacii-safudzelze-sackhovrissii-registracii-tsesei-sheivala.html?lang=ka-GE>

რატომ მოაფარა თვალს სახელოვან მამულიშვილთა მარტირაციას დაფუძნებული პირველი კლასიკური გიმნაზიის ახალმა დირექტორმა?!

თბილისის პირველი კლასიკური გიმნაზია (დაარსდა 1830 წელს), რომელიც დეკემბერიანების სამხედრო-კრიმინალური გადატრიალების დროს ომის ეპიცენტრში მოექცა, დაინვა და თითქმის სრულად განადგურდა რუსეთის იმპერიის შეიარაღებით და სატელიტი ძალების მიერ. ისტორიული გიმნაზიის სრულად აღდგენა და მასში სწავლის განახლება 1995 წლის 1 სექტემბერს გახდა შესაძლებელი; ეს პირველი შენობა იყო, რომელიც უახლოეს პერიოდში აღადგინეს (ასევე განადგურებული უზენაესი საბჭოს (პარლამენტის) შენობა კი უფრო მოგვიანებით აღდგა, ხოლო მხატვართა სახლის აღდგენის პროცესი მხოლოდ 23 წლის შემდეგ, 2015 წელს დაიწყო და დღესაც მიმდინარეობს).




პირველად დაიდგა ამავე სკოლის ყოფილი მოსწავლის გიორგი ერისთავის პიესა „გაყრა“, ილია ჭავჭავაძის, ალექსანდრე სუმბათაშვილი-იუჟინის, ივანე ჯავახიშვილის, დავით სარაჯიშვილის, ვლადიმერ ნემიროვიჩ-დანჩენკოს... ხოლო, მარჯვენა კედელს, ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას ასეთივე თეთრი მარმარილოს ოქროსწარწერიანი მემორიალური დაფები.

წლის დაწყებისთვის, ივლის-აგვისტოს თვეში ჩატარებული კონსტანტინე (უმცროსი) შემდგომ, მემორიალური დაფები კედლებიდან გაქრა და ფლიგელეების რეკონსტრუქციის შედეგად იქ თანამედროვე, შემინული საექსპონანტო კვადრატული კარადები დაიდგა, ხოლო ფლიგელეები ჩაირაზა შემინული ალუმინის კარებით, რითაც მოსწავლეებს სანავარდო სივრცეც შეეზღუდა და წაერთვა (იხილეთ ფოტოები).

ჩვენ, ცხადია დაინტერესდით, თუ სად და რატომ გადაიტანეს მემორიალური დაფები და სასწავლო წლის დაწყებიდან რამდენიმე დღეში დილის ცხრის ნახევარზე ვენეეთ კლასიკური გიმნაზიის ახალ დირექტორს, თამარ კაპანაძეს. ქალბატონმა თამარმა განგვი-

ბა. რადგან ქალბატონი თამარი ჩვენმა კითხვებმა გააღიზიანა, აღარ გავაგრძელებთ მისთვის კითხვების დასმა; ცხადია იყო, იგი თვლიდა, რომ დირექტორის თანამდებობა მას, ისტორიული მემორიალების, მიყურებულ ადგილას გადატანის უფლებასაც ანიჭებდა.



მარტა, რომ მემორიალური დაფები მისი კაბინეტის დერეფნის კედლებზე განათავსდა და ძველ ადგილას აღარ აპირებს მათ დაბრუნებას, რამეთუ იქ სხვა სახის ისტორიული ექსპონანტები განთავსდებოდა. ჩვენ, ასევე დაინტერესდით თუ ვისი გადაწყვეტილება იყო ეს, განათლების სამინისტროს თუ პირადად მისი, რაზეც მან თავდაჯერებულად განგვიცხადა, რომ თავად მან მიიღო ასეთი გადაწყვეტილე-

ბლა, ერთადერთი იმედად უნდა ვიყოთ, რომ ბიძინა ივანაშვილის „კოალიციური ოცნების“ ახალი კადრი ქალბატონი თამარ კაპანაძე, მქუხარე და ელვარე სახელებიანი მემორიალებისაგან გამოთავისუფლებულ სივრცეს, საბჭოთა პერიოდის ექსპონანტებით არ გადატვირთავს და სემინარების ციკლებს არ მოუქცნის მას მოსწავლე-ახალგაზრდების ტვირთის გამოსარეცხად თუ ისტორიული მესხიერების წამლის აღძრული ფინი (რედ.).



ირაკლი, კონსტანტინე და ლილა ლურსკაიების სახლთან ხზულაში, სადაც, თითქოს თავი მოიკლა პრეზიდენტმა

ზვიადის ბოლბოთა...

აგვისტოს თვეში კონსტანტინე (უმცროსი) გამსახურდია, ლილა ცომაია და ირაკლი შონია, მწირი ფინანსური და ტექნიკური შესაძლებლობით იმყოფებოდნენ სამეგრელოში ორსერიანი დოკუმენტური ფილმის „ზვიადის გოლგოთის“ გადასაღებად, რისთვისაც მათ ფეხით განვლეს ყველა ის ადგილი (ადმინისტრაციული შენობები, ტყეები, ოჯახები), სადაც თავს აფარებდა დევნილი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია 1993 წლის სექტემბერ-დეკემბერში, ვიდრე მოკვდინებამდე. მათ, დაკრძალვის ადგილების გადაღებით, ჩაინერეს პრეზიდენტის მეგობრებისა და მასპინძლების ინტერვიუ-ჩვენებები.

იდეის ავტორები იმედოვნებენ, რომ ფილმის პრეზენტაცია, გარკვეული პრობლემების დაძლევის შემდგომ, შესაძლებელი გახდება წლის ბოლოს, დეკემბრის თვეში.

პასუხი მოუღებელ მსონარებსა და ინტრიბნებს...

კონსტანტინე გამსახურდიას (უმცროსი) კიდევ ერთი პასუხი „მამის სიკვდილის, შვილის მიერ გამოძიების“ მონაწილეობის საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების საკითხების შემსწავლელ საქართველოს პარლამენტის დროებით კომისიაზე (შეიქმნა 2009 წლის 22 ოქტომბერს, დაასრულა მუშაობა 2011 წლის 24 თებერვალს).

ჩვენს საპარლამენტო დასკვნაში (თუკი ის საერთოდ გადაუშლიათ და ბესარიონ გუგუშვილის სექტის წარმომადგენელთა „მარგალიტებს“ არ ეყრდნობიან), საერთოდ არ არის არანაირი ვერსია. მსგავსი ვერსიები საგამოძიებო შურნალისტიკისთვის მიმინდვია - და რასაკვირველია ნამდვილი გამოძიებისთვის, რომელიც მთელი თავისი რესურსების გამოყენებით პროკურატურამ უნდა აწარმოოს. ჩვენ უბრალოდ გადავამოწმეთ თვითმკვლელობის დამაჯერებლობაზე აბსოლუტურად ყველა მონაცემი, რაც იყო არქივებში და რაც ჩვენ მოვიპოვეთ მონაცემების გამოკითხვებით. შევამოწმეთ ასევე კრიმინალისტიკური თვალთახედვიდანაც, რაშიც კვალიფიციური პირები დაგვეხმარნენ. დასკვნა ასეთია: ეს არ ყოფილა თვითმკვლელობა, არამედ აშკარა მკვლელობის კვალი. ახლა ზოგიერთი მეტყვის, ეგ ხომ ისედაც ვიცოდითო. არა პატივცემულნი, ამ ყველაფერს ესაჭიროება წიგნიერი დასაბუთება სათა-



ნადო ტერმინოლოგიით, თორემ სხვა შემთხვევაში ყველაფერი დარჩება ერთადერთი არგუმენტით, რომ „მართლმადიდებელი კაცი თავს არ მოიკლავდა.“

კომისიაში შედიოდა 11 დეპუტატი, თავმჯდომარის ჩათვლით!

თბილისის საერთაშორისო აეროპორტისთვის ურთა რუსთაველის სახლის ვინიჯახასთან დაკავშირებით...

მიმდინარე, 2015 წლის 30 ივნისს დედაქალაქის საკრებულომ თბილისის საერთაშორისო აეროპორტის შოთა რუსთაველის სახელი მიანიჭა, რაც მხარდაჭერილი იყო პრემიერ ირაკლი ლარიბაშვილისაგან.

თბილისის მერის მოვალეობის ყოფილი შემსრულებელი და ამჟამად საკრებულოს დეპუტატი „ნაციონალური მოძრაობიდან“ სევდია უგრეხელიძე ამოიღო ითხოვდა აეროპორტისთვის პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას სახელის მინიჭებას, რასაც პრინციპულად ეწინააღმდეგებოდნენ „ოცნების“ უმრავლესობა და სხვა დეპუტატები, რაშიც აირეკლა მათი კუმირისა და ფინანსური მამის, ბიძინა ივანაშვილის ნეგატიური დამოკიდებულება ზვიად გამსახურდიას მიმართ რომელიც ხელისუფლებაში მოსვლის წინ 2013 წელს განაცხადა, რომ ჩვენი ქვეყნის სამივე პრეზიდენტები ერთმანეთზე უარესები იყვნენო! (წყარო: http://www.for.ge/view.php?for_id=26695&cat=9)

ხუნტისმემკვიდრე ხელისუფალნი ერთნაირად უფრთხიან ზვიადის სახელს!

მწერალმა ნოდარ კობერიძემ თავის facebook-ის გვერდზე (06. 07. 2015) დაწერა; „მოვუნდებ საკრებულოს აეროპორტის ტრასას საქართველოს პირველი პრეზიდენტის სახელი მიანიჭოსო“. დიახ, რადგან, აეროპორტს არა და არ მიანიჭა ხელისუფლებამ, აეროპორტის გზატკეცილს მაინც ნამდვილად უნდა ეწოდოს პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას გზატკეცილი და, იმავედროულად, თავისუფლების მოედანსაც ეწოდოს „პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მოედანი“, რაც მეტალურად და ბუნებრივადაც ასოცირებული იქნება თავისუფლებასთან!

ცოტა უფრო შორეულ პერსპექტივაში, ეროვნული ხელისუფლების მოსვლის პერიოდში კი თავისუფლების მოედანზე, წმ. გიორგის კერპის ნაცვლად, იმავე კვარცხლბეკზე უნდა აღიმართოს საერო გმირების - ზვიად განმათავისუფლებლისა და მერაბ კოსტავას ქანდაკებები.

ქაქუცავანიჭაძე

იჩვენა ინაშვილს სისხლზე შვილები, თუ პოლიტიკურად ანგაჟირებული იყო?



ორი გამოკლებული პარლამენტის დეპუტატის სანაცვლოდ 31 ოქტომბერს დანიშნული შუალედური არჩევნები ახლოვდება და პოლიტიკაობა პიკს აღწევს;

ე. ნ. პატრიოტთა ალიანსის ლიდერი ირმა ინაშვილი, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მაჟორიტარ კანდიდატად მოგვევლინა და საარჩევნო კამპანიაზე ჩვეული აქტივობით დაიწყო; იგი, 24 სექტემბერს, საგარეჯოს იორმულანლოს მეჩეთში მივიდა და მუსლიმური წესისამებრ მუსლიმ მოლოცვლებს ყურბან-ბაირამობა მიულოცა. ამაში გასაკვირი და მითუმეტეს დასაძრახი, ნამდვილად არაფერია, მაგრამ „პატრიოტი“ ინაშვილი 2012 წელს, ბათუმში აზიზიუს, როგორც დამპყრობლის მეჩეთის აშენების წინააღმდეგ ისტერიული პროტესტით გამოდიოდა და ბარიკადებზე იდგა.

ასეა, როცა უნდა ინაშვილს, თავგამოდებული მართლმადიდებელი ქრისტიანია და მეჩეთების აშენების წინააღმდეგ ხმალამოღებული ილაშქრებს, სინამდვილეში კი ფარულ ალიანსში იმყოფება ათასი ჯურის კავშირებთან...

2011 წლის 12-18 სექტემბრის გაზეთ ასავალ-დასავალის 37-ე ნომერში გამოქვეყნდა სტატია „რატომ ატარებს აჭარის ტელევიზია თურქული ენის გაკვეთილებს?“ სადაც ყურნალისტი მოგვითხრობდა, რომ აჭარის ტელევიზიით მიმდინარეობს გადაცემა „თურქული ენის გაკვეთილები“, ძვირფასო ყურნალისტებო, ძალიან კარგია, რომ ეს დაწერეთ, მივესალმებით თქვენს აქტიურობას ამ თემთან დაკავშირებით, მაგრამ იმაზე რატომ არაფერს ამბობთ და რატომ არაფერს წერთ, რომ ტელეარხ 25-ზე (რომლის დაფარვის ზონა არის დასავლეთ

საქართველო და ამიერიდან უკვე სატელევიზიო მაუწყებლობა) მიმდინარეობს თეოლოგთა კავშირის მიერ საავტორო უფლებებით გადაცემა „ყველაფერი ისლამის შესახებ“. იმაზე რატომ არაფერს ამბობთ და არ ახმაურებთ, რომ მხოლოდ აღნიშნული გადაცემის წყალობით ტელეარხ 25-ს აფინანსებს (რასაც თავადაც არ მალავს ტელეარხის ადმინისტრაცია) ქართულ-თურქული მეგობრობის ასოციაცია, რომლის უკან ფუნდამენტალისტი ისლამისტი შეიხები დგანან (ხოლო აღნიშნული ასოციაციის დებულება განსაკუთრებით, საქართველოში მისიონერული საქმიანობის შესრულება) და რატომ არაფერს ამბობთ ყურნალისტთა კავშირ „ობიექტივის“ შესახებ, რომელიც 1 წელია სრულ ჰარმონიამია აღნიშნულ ტელეარხთან და სულ რამდენიმე თვის წინ ბიზნეს-გარიგების შედეგად ტელეარხი 25-დან უსასყიდლოდ მიიღო 9 (ცხრა) საათი დრო სატელევიზიო. ასევე ყურადსაღებია ის ფაქტიც, რომ ობიექტივის მიერ გამოქვეყნებულ „სასისხარული“ განცხადებაში, რომ ისინი გადიოდნენ სატელევიზიო უსასყიდლოდ, მითითებული იყო ცრუ ინფორმაცია, კერძოდ, თითქოს აღნიშნულ ქართულ-თურქულ ასოციაციაში განეწიანებულა ორმოცდაათი ათასი წევრი (რეალურად ასოციაციაში მხოლოდ 200-მდე ადამიანია განეწიანებული), ეჭვს იწვევს, რაში დასჭირდა ობიექტივის ხელმძღვანელობას ციფრების გაბერვა? იმიტომ ხომ არაა, რომ დამალულიყო რეალური დამფინანსებელი? რომ ასოციაცია, რომელიც აფინანსებს ტელეარხ 25, რომელიც თავის მხრივ უსასყიდლოდ 9 საათ დროს აძლევს „ობიექტივს“, თვითონ ფინანსდება ფუნდამენტალისტი ისლამისტი შეიხებისგან, ე. ნ. „ჯემაათ-ლერებიდან“, ხოლო ფუნდამენტალისტი

ისლამისტი შეიხები ტყუილად, უსასყიდლოდ არაფერს გაიღებენ. ეს ხომ ცხადზე უცხადესია (თანაც ჩვენს დროში, როცა ლამისაა სიტყვა „გამარჯობაც“ კი ფულით გაიყიდოს და სიბჭევაც ცეცხლის ფასი ადევს). რის სანაცვლოდ გაიღეს ეს „მონყალაბა“? დაწერეთ და გამოიძიეთ ესეც ძვირფასო ყურნალისტებო, თუ ვამბობთ ეს ცუდია, ისიც ვთქვათ, რომ ისიც ცუდია და დამლუპველია სამშობლოსთვის. ვთქვათ ისიც, რომ როცა სამშობლო გველუპება, გაუმართლებელია ფულისთვის და საკუთარი კეთილდღეობისთვის იმ თეფშიდან აილო ლუკმა, რომელიც პირდაპირ მიმართულია საქართველის, ჩვენი სამშობლოს გამაჟმადიანებისკენ, თანაც შეგახსენებთ, რომ მსგავსი ტიპის ქრისტიანული გადაცემები თურქეთის რესპუბლიკაში არ არის! ძალიან კარგი იქნება თუ ამაზეც დაწერთ და ყველაფერს თავის სახელს დაარქმევთ და შეგნებულად არ დაიბრმავებთ თვალებს და არ დაიყრუებთ ყურებს, მაინც არაფერი იმალება!

ტელეკომპანია „ობიექტივი“ თავშეყრილი „პატრიოტთა ალიანსი“ კი, ინაშვილისა და თარხან-მოურავის ლიდერობით, რეალურად, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას და მისი ეროვნული ხელისუფლების შეიარაღებულ გადატრიალებაში მონაწილე სუნტისტთა კრებულია, რომლებსაც ეყობა მოქალაქეობრივი სინდისი და გამბედაობა, თავიანთ არაპატრიოტთა ხროვას „პატრიოტთა ალიანსი“ უწოდონ!

გიზო შარაშენიძე
(*უფრო ვრცლად ამ ქვებავაზე კტთა შესახებ იხილეთ გაზეთში „განმათავისუფლებელი“, 2015 წლის აპრილი, N44, გვ. 5, 7. რედ.*)

კომპანია RMG, შრომითი უფლებების და მოქალაქეობრივი ღირსების წინააღმდეგ



კომპანია RMG-ის ბოლო წელიწადნახევრის განმავლობაში განხორციელებული დისკრიმინაციული ქმედებების შესახებ მრავალჯერ ითქვა და დაინერა, მაგრამ კაზრეთელი მშრომლების მხარდასაჭერად აუცილებელია კიდევ ერთხელ შევასხენოთ საზოგადოებას, თუ რას წარმოადგენს საქართველოს და მსოფლიოს კულტურული მემკვიდრეობისადმი განსაკუთრებული ვანდალიზმით (აფეთქებული საყდრისი) გამორჩეული კომპანია, რომელიც უკვე წლებია ქართული ოქროს მოპოვების ლიცენზიას ფლობს.

ქვეყანა და ერი შეიძლება გაძარცვო ძალისმიერით მეთოდებით, ომით, ოკუპაციით, ანექსიით, მაგრამ ჩვენი ქვეყნის ყველა პატრიოტისთვის განსაკუთრებით მტკივნეულია და საქართველოს საზოგადოებას სრულ აპათიაში აგდებს, როდესაც ეს ხდება კანონის

ინტერპრეტირების, ხელისუფლების ფარული მხარდაჭერითა და ტოტალური ძალაუფლების დემონსტრირებით.

რა მოპარა კომპანია RMG-იმ საქართველოს საზოგადოებას?

- შრომის თავისუფლება;
- გაფიცვის უფლება;
- კოლექტიური მოლაპარაკებების უფლება;
- პროფკავშირის წევრობის უფლება;
- ასოციაციის თავისუფლება;
- უსაფრთხო შრომის უფლება;
- კულტურული მემკვიდრეობა.

კომპანია უპატივცემულოდ მოპყრო ცივილიზებულ და დემოკრატიულ საზოგადოებებში დამკვიდრებულ სოციალური დიალოგისა და სოციალური პარტნიორობის პროცესს და ამით არ გაითვალისწინა, არც ქვეყნის კონსტიტუცია, არც

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენციები და არც საქართველოს შრომის კოდექსი.

პროფკავშირის წევრობაზე უარის ართქმის შემთხვევაში ინდივიდუალურად განხორციელებული მუქარებითა და რეპრესიებით, კომპანიამ ერთის მხრივ დაარღვია სისხლის სამართლის კოდექსი, ხოლო მეორეს მხრივ მოქალაქეობრივი ღირსება შეუღახა მშრომელს და გააღვივა მათში შიში, რითაც კაზრეთში წარმოიშვა ღრმა შიშის იმისა, რომ „ამ ქვეყანას არაფერი ეშველება“, რომ ყველაფერი მაინც ზემოთ წყდება და რატომ გავეჩხროთ ყელში ურჩხულს“, რომ ჩვენი პატრონი, არც არასოდეს ყოფილა ვინმე და ეხლაც ასე გაგრძელდება“.

ექსპლოატაციითა და რეპრესიებით კაზრეთელში დაისადგურა უდიდესმა პესიმინზმმა და პოლიტიკურ საზოგადოებრივი აქტივობების მიმართ სოციალურად ინერტულმა განწყობამ.

სოციალური დისკრიმინაციის ამ ფონზე, საქართველოს პროკურატურამ, ბოლომდე არ მიიყვანა, არცერთი საქმის კვლევა, რომელიც კომპანია RMG ბოროტმოქმედებებს ეხებოდა. საქართველოს პრემიერ-მინისტრის აპარატმა სრული ინერტულობა გამოიჩინა და არ გააკონტროლა კომპანია RMG-ის მიერ გაფიცულ მშრომლებთან მედიაციის შედეგად დადებული შეთანხმების შესრულება. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური

დაცვის სამინისტრომ ვერ უზრუნველყო კონფლიქტის დამოუკიდებელი რეგულაცია, ხოლო საქართველოს მთავრობის სათათბირო ორგანომ – სოციალური პარტნიორობის სამმხრივმა კომისიამ არ მოახდინა ამ კომპანიის მიერ სოციალურ და შრომით ურთიერთობებში ჩადენილი ბოროტმოქმედებების შეფასება.

ისმის კითხვა: რასთან გვაქვს საქმე? კომპანია მართავს მთავრობას თუ მთავრობა ლობირებს კომპანიას? თუ ეს ორივე, სინამდვილეში, ერთია?! ნებისმიერ შემთხვევაში ანტი-სახელმწიფოებრივ, უაღრესად სამიშ ვითარებას ვიღებთ, მაგრამ ყველა ადამიანი იბადება თავისი უფალი და თანასწორი თავისი ღირსებითა და უფლებებით“ და შესაბამისად კომპანია RMG-საც მოუწევს ამასთან შეგუება. მშრომლები და საქართველოს საზოგადოება ამ პრინციპის დასაცავად საკუთარ მტკიცე სიტყვას იტყვიან და ენერჯულიადაც იმოქმედებს.

კომპანია RMG-ის ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა სოციალურ მანერს მიმართეს და პროფკავშირის, როგორც იდეოლოგიურად და ასევე ფაქტობრივად გასაკოტრებლად, დაიწყეს მომსყიდავი დაპირებების გაცემა, მაგრამ მოვიდა დრო, რომ მათი ეს დაპირებები სრულად შესრულდეს. სრულდება? – არა!

კაზრეთელი მშრომლებო, თქვენი ლეგიტიმური უფლებაა, რომ კომპანია RMG-მ განახორციელოს თქვენი ხელფასების ზრდა, რატომ? რადგან

გენერალურ დირექტორს სერგეი ევანოვს გაფიცულ მშრომლებთან 2013 წლის ნოემბრის შეთანხმების შესაბამისად ეს ჯერ კიდევ 2014 წლის იანვარში უნდა გაეკეთებინა. რატომ? რადგან კომპანია RMG-ის საწარმოო სიმძლავრეები სრულად აღდგენილია. კიდევ რატომ? რადგან ლარის კურსი ეცემა და სამომხმარებლო პროდუქტებზე კი ფასები იზრდება. შედეგი? მშრომელის ხელფასის მსყიდველობითი უნარი კატასტროფულად დაქვეითდა. არავის დაავიწყდეს, რომ ჩვენი მშრომლების მიერ დიდი ჯაფით მოპოვებული და გადამუშავებული სპილენძი და ოქრო ექსპორტზე გადის და უცხოურ ვალუტაში იყიდება.

საქართველოს მეტალურგიული, სამთო და ქიმიური მრეწველობის მუშაკთა პროფესიული კავშირი აცხადებს: თავისუფლება, თანასწორობა, ღირსება და უფლებები, სოლიდარობა, სოციალური სამართლიანობა უნდადესი მნიშვნელობის უფლებები და ღირებულებებია.

მშრომლებო, საქართველოს საზოგადოება, ერთად ვიმოქმედოთ, ვიღვანოთ და ვიბრძოლოთ კიდევც, რომ ეს უფლებები და ღირებულებები ჩვენი ცხოვრების და შრომის საფუძველი გახდეს.

თამაზ დოლაპრიძე
საქართველოს მეტალურგიული სამთო და ქიმიური მრეწველობის მუშაკთა პროფესიული კავშირის პრეზიდენტი. ოქტომბერი, 2015 წ.

ლიტერატურული ბზვერი
თა ხასია



ზოგჯერ სინანული წრემლის გუნდა და გუნებს მიპობენ ფოთლის ფრეგატები, როგორ არასოდეს, ისე ვუნერავ და სადღარ -საკუთარ თავს -ნასვლით ვქაფდები! აღნათ ნუგეშია სიბნოთ ერთი ყლოში, სულ ერთი ნაფაზი რითმის ერთი ღერის. . ახლა უსივრწრბით ლექსიერ დამეხსოვ, ნავსი მეჩვენება ირგვლივ ყველაფერი!

ჩემს თავს მწარედ ვერჩი ზედის გადამკიდე, როგორ დავიკარგე ფოთლის ფრეგატებით, ყველა ჩემი ლექსი მზეზე გადავკიდე, იქნებ გამოაშრეს წრემლის ნეგატივი! შლოგი მონატრება დარდის მტევანია - ვნურავ თოთო ნატვრებს სველი რეფრენებით, თითქოს ხელისგული ზღვაში გემზანია, ჰაერს მოაპობენ რითმის ვეჭმფრენები - ლექსი ხშიადა სულის დაპურების, თორემ არტერიებს კბილით გადავღრღინდი, ვირი ფანტომია დროის დაბრუნება, ახლა საკუთარ ნღებს ნყალში გადავყრიდი. ახლა ჰაერია ირგვლივ ისე როტა, თითქოს ატმოსფერო ტყვიით შემიზღუდეს, ახლა ჩემი თავი ისე შემიერდა - მზის სხივს ჩავყყრიდი განვდილო ხელისგულზე! ახლა ტკივილები ისე გამიავდა, არრ ის შემიძლია ნამით დავიღალო, თვალის უპეებში ისე გამიავდრდა, ლამის საფეთქელთან ლექსი დავიხალო!

მიდიოდა,მიდიოდა კობტა ქალი, მიპყებოდა რუყ ჭორების ხოშკაკალი, მიპობდა ქუჩას გესლით დანათოვარს, რა უნდოდათ, რას ერჩოდნენ განათხოვარს?! თუ არავის შეახედებს მის ნაღკოტებს, არ გეგონოთ, მას სატრფოზე არ აზოდებს. მერე რა,რომ არვინ ჰყავს და მარტო არი, ნუ გგონიათ მოფრენების მათხოვარი! მიდიოდა, მიდიოდა კობტა ქალი, მიპყებოდა მიტქმა-მოტქმის ხოშკაკალი, რად გგონიათ, რომ თამაშობს უკარებას, - ზავშვობიდან დედა ამას უბარება! როტა ლამე რუხ გულისპირს შემოიფხრენს, მხოლოდ მაშინ მოგონებებს შემოიძვრენს, დაფქრდება მრავალ ნელთა რუყ ლოღინზე, მარტოსული ლამეების რევ ლოგინზე! კაქმანის და ტკივილის ტოვებს დღიურს, განუყურნელ სევდას ებრძვის ყოველდღიურს, ის არასდროს არ შეავსებს ამქრის ტირაყს, არასოდეს არ ინამებს სიძვის მირაყს! მაგრამ თუკი შეუყვარდა, ფქრებს გარყვინის, არ ექნება შიში რისხვის, ჭოროთა ნარღვინის! . დავინყებს,დედა ,რასარ უბარება, სულ ახლახან როგორ იყო უკარება! აღმოღებულ გულის ფეთქვას თუ ვერ დათმობს. ქალია და მის ნაბიჭებს ნულარ დაგმობთ! ახლა მას კი აკანკალებს რეზიანს, ლმერთმა ირის,დარდით აღარ სძინება, მას ისედარ ზღაპრის ხიბლი დაჰკარგვია, სამსუხაროდ არავისი აღარ ჰქვია! წრემლთან ერთად როტა სასმელს გადაყოყურნავს, ჩვეულბრევ მარტოსულ დღეს გადაფურწლავს! დაღლილ თვალბებს ძილი აღარ ეკარებათ, ქალია და სიყვარული ენატრება!.. მიდიოდა, მიდიოდა კობტა ქალი, თავს ესხმოდა მიტქმა-მოტქმის ხოშკაკალი! ხან მტარებელს ადარებდნენ, ხან მათხოვარს... ან რა უნდათ! რას ერჩიან განათხოვარს!!

ეპიგრანტის ოცნება

როგორ არასდროს,ჩემს მამულში გავლა მომინდა, არ მნამს მალამო,-ამ ტკივილებს რომ ჩახხმობდეს, მე ვარ მდინარე დაკარგული-კალაპოტიდან, ტალღებს რომ ანდობს ზედისნერის რევ ქარაშოტებს. სვეგაყიდული მამლოქივით დედის მნატვრელი, მონრილ მტყეზზე ფრთაშეჭრილი და მოჭირბოყული, დღეს სულონასული მონატრების ვარ ურუანტელი, გულდათუთქული,საქართველოს ვარ მორქული... დარბეულ სიზმრებს ვეხიზნები დროგამოშვევით, უთვისტომთა ორნებანი აქ ვის გავანდო? . მომერეო ფრთები,სასომიხდილ ნატვრის კოშკიდან, ჩემს სამშობლოში არნივივით გავინავარდო!

არ ვიფქრია?- ეს ხელები,სულის მტევნები, რამდენ სინათლეს ინახავენ,მოვარდნილს ტალღად, მიტყუბნულნი უმეტესად უხმო ვედრებით, ზოგჯერ დაყრილნი უსასოოდ ვოდებად,დაღლად. ზოგჯერ-ყვრიმალთან მოფრება ათასი ჰეპლის და ანგელოზის ფრთის მავარად სულოთა შეხება, ხშირად მოყვასის ნამომტენნი მინისგან ფერფლის,- უხმოდ დარღილის - მილიონი წრემლის მხეფებად! ხშირად როდვილნი- ნატურდალი აღერსის უინში, ზოგჯერ ქრული მარტოსული ნღებით ასკეტად, რამდენი როდვის აღსრულება-ნაფქრის ტვინში, სულის სიმტკირით ამდენივე როდვის ასხლეტა! აღნათ რამდენი უნდა გვითხრან მარტო ხელებმა, საგანძურებად ნატვრისთვალნი ჰეშვით რომ ხვეტეს, ხან გულზე უნდოდ დაკრიფეს მარტოხელებმა, როტა დაუსხლოტათ ამქვეყნიდან ხშირად მოკეთე! ხან სინარულის, ხან ტკივილის მოგვმინდეს წრემლი, სიმნრის ნუთებში გამოსრდეს დამტვრევა ძვლებში, სანთლებს გვინთებდნენ, შეერვალათ სინათლით მნელი, ჩვენ კი ვაგემთ ხორრის გლეჯა -ალესილ ეშვით! როგორ იჭამდნენ სიხლოვის დაკარგვის შიშით გაგაყებული მონატრებით-ვნების განრდილის, როტა გავხდები ველარაფერს ზედის ნინაშე, დამიკრიფავენ გულზე ხელებს ძვირფას განძივით!

მზე კონნალომს ოქროწურვილ დისკოდ ვერხვებთან, ხეთა ტოტებში ურნაური შარიშური, გაიპრანჭება შემოდგომა,თითქოს ვერ ხვდება, რომ სუსხიანი რევი ზამთრის დანიშნულია! თითის ნვერებზე მონარნარდა ზოშა ქალივით, ნარმავალ ეშხის სამოსელში შიშველოს მალავს ტორსს, დაიზნიქება მზის თქორებში ფერად რვლივით, ისე ირკვემს,არეფება თითქოს არასდროს! ჩამოსრვივდება კალენდარებს დღენი ორსული, ოქროფერილი სექტემბერი დის ფესაკრეფით, და შემოდგომა --ზოშა ქალი გრაიროზული, რდილომს მზის ეშხით შეაჩეროს რეფერზლატები! არამინიერ სურნელს აფრქვევს ჰორტენზიებად, მსუყე სხეულით თავზრუს განხვევს ყურძნის ნვენვივით, ჩიტის ზუფეებს წარიელებს რომ ერებათ, ზერას ლიმილად შეაკვდება გუინპლენივით! ტერ ისევ მზეთა დარია და ქარვათა დღეა, ხეთა ტოტებში ხმელ ფოთოლთა შარიშური, და უსინათლო შემოდგომა - ვით ზოშა დეა, გუინპლენივით მახინჯ საქმროს დანიშნულია!

ლოტერატურული ბვირდი

ბია ჯიჰონაია



გამთენიისას

თენდება, გულში მონატრების რეზლი ანთია...
გვერდით რომ არ ხარ,
რა ზედი გვერდით, მე შორს ვარ, შენ
მარტო დახვალ,

კვალი რაღად ატყვია?
განა რხოვრება ყველას რრემლეშ არ
გვარევიანებს?
არ გვაშიშლილენს? - კვლავ გიხუტებ
ჩემო ლამაზო,

ოცნებების
სასაფლაოზე

ფანტაზიორო, მეორენებე! ჩვენ აქ
უიძელონისგან გადაშტერებულნი ვზივართ,
შენ კი სხვა არ არაფერი განსხვავებს,
გარდა იმისა, ორენებებს სდიო,

თუმცა ეს ხომ არ მოხდება აღარასოდეს,
ისინი იქვე დარჩებიან დახოცილი ძმებთან.
ეს სილამაზურ, თურმე წარსულის
უკვე კუთვნი
მისი თვალენიერ სამყარაოდ დაიხუტება,

სონეტი ზეიადს

გმირი, რომელსაჲ ივერია ასე უყვარდა
და თავს სწირავდა ყოველდღმინდა
იდეალისთვის,
აღარ უწყოდენ ანამებდენ, უფალო,

ნოველა

ზეინაბ სარია



შიგნიშიგან
შეხეტიალდი!

თვითმფრინავიდან თვითმფრინავში, გემი-
დან გემზე რომ ინაცვლებ და ხარბი მზერით
გსურს მსოფლიო ჩაისაკუთრო, სამყაროს
ყველაზე იდუმალი სივრცე განა თავად შენში
არ არის?

ოკეანე ქაფქაფა ვულკანებითა და ტაიფუნ-
ებით! . . . იქ რომ ღელვაა და ქარტეხილი! . . . იქ
რომ სივრცეა! . . . მიდი, შებედე, შეცოცდი და
შეხეტიალდი! . . .
ყველაზე მზერაშეუვლები ქედი შენშია.
შენშია შენი ევერესტი და ჯომოლუნგმა. იქ
არის შენი სიქათქათე - ზეცის თეთნულდი,
მწვერვალზმანება, უსპეტაკესფიფებიაანი.

მზეზე გახედე, ჩრდილის მტერი მხოლოდ
ის არის
/რალა შენი ჩრდილები და რალა ეკზიუპერ-
რის უფლისწულის ბაობაბები! . . . / ოთხივ
მხრიდან ამოავლე მზის ტალღებში.
ბუა!- იტყვის კოლხი და, ხომ იცი, ბუა რომ
რძეა გამომკვები, ძალის მომცემი?! ბუა მზე-
ცაა, ზღაპრის ფასკუნჯი, თვალი უფლისა.

„ოცნების“ სამი წელი – იმედგაცრუება!

2012 წლის 1 ოქტომბერს, როდესაც ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ექსპლუატაციისა და რეპრესიების მანქანას დამზღვეველი ბზარი გაუჩნდა, საქართველოს მოქალაქეთა ნაწილში გაჩნდა ერთგვარი ილუზია და ეიფორია, რომ კოალიცია „ქართულ ოცნებას“ შეეძლო ორი ათეული წლის განმავლობაში შიშსა და სილატაკეში, ეროვნული დამცირებისა და სოციალური ჩაგვრის პირობებში მყოფი რამდენიმე მილიონი ადამიანის გათავისუფლება.

კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“ ეს ილუზია და ეიფორია პოლიტიკური აღმასვლისთვის სრულად გამოიყენა. ამას ხელი დიდად შეუწყო ტირან ედუარდ შვეარდნაძის და მისი მემკვიდრის მიხეილ სააკაშვილის რეჟიმების მიერ ჩამოყალიბებულმა პოლიტიკურმა სისტემამ. თუმცა ბიუროკრატიულ-მონოპოლისტური კაპიტალის ანგარებით ინტერესების გამტარებელი პოლიტიკური სპეკულიანტების მოძრაობა, ანალოგიური იდეოლოგიის კოალიციამ ჩაანაცვლა.

კოალიცია „ქართული ოცნების“ მიმართ არსებული მოლოდინები ისევე გაუფასურდა, როგორც ქართული ღარი. მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი იმედგაცრუება კოალიცია „ქართული ოცნების“ სოციალურ-შრომითი პოლიტიკა გახდა. მშრომელი ხალხისთვის მათი სტრატეგია ისეთივე აღმოჩნდა, როგორიც ისე ტირან ედუარდ შვეარდნაძის და მისი მემკვიდრის მიხეილ სააკაშვილის მმართველობის დროს. სიტყვათა განსხვავებული ეკვილიბრისტიკით გაგრძელდა მშრომელი ხალხის სოციალურ-შრომითი უფლებების და ინტერესების სისტემური დათრგუნვა.

2006 წელს ლიბერტარიანული დოგმებზე აგებულ საქართველოს ორგანულ „შრომის კოდექსში“ 2013 წლის მაისში კოსმეტიკური ცვლილებები შევიდა. შედეგად ამ კოდექსის შინაგანი არსი უცვლელი დარჩა. ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, როგორც არის სამუშაო დრო, შენარჩუნებულ იქნა სპეციფიკური სამუშაო რეჟიმის ცნება – კვირაში 48 საათი. ეს ნიშნავს, რომ დღეს ბევრ ქართველ მშრომელს XIX საუკუნის ჩიკაგოელი მუშების დარად ბრძოლა უწევს 8-საათიანი სამუშაო დღის მოსაპოვებლად.

კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“ ერთიანი ნაციონალური მოძრაობასთან სრულ თანხმობაში საერთოდ გააყინა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენციების რატიფიცირება და არც ევროპის სოციალური ქარტიის (შესწორებული) სრული რატიფიკაცია განახორციელა. ასეთი მიდგომიდან გამომდინარეობს ის ფაქტი, რომ საქართველოში დასაქმებულის ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულება მინიმალურ ევროპულ სტანდარტს 4 დღით ჩამორჩება, ხოლო ფენხმომობისას ანაზღაურებადი შვებულება 13 დღით ნაკლებია.

„შრომის კოდექსში“ არის 37-ე მუხლის „ო“ პუნქტი, რომელიც დამსაქმებელს იმპერატიულ უფლებამოსილებას ანიჭებს ვოლუნტარისტულად შეუწყვიტოს დასაქმებულს შრომითი ხელშეკრულება.

კოალიცია „ქართული ოცნებამ“ ერთიანი ნაციონალური მოძრაობასთან ერთად არ შექმნა შრომითი არბიტრაჟის ინსტიტუტი, რომლის შემწეობით სამართლიანად გადაწყვეტოდა შრომითი ურთიერთობებისას წარმოშობილი დავები.

ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მსგავსად კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“ საქართველოს ორგანული კანონის „შრომის კოდექსის“ მე-13 თავის საფუძველზე შექმნილი სა-თაბირო ორგანოს სოციალური პარტნიორობის სამხრეთ კომისიას ბუტაფორიული სახე შეუწარმოა და მისი არსებობა ფორმალურად დაიყვანა.

შრომის სამართლებრივ, ტექნიკურ და ეკოლოგიურ უსაფრთხოებაზე ზრუნვის სიმულაციის მაგალითი გახდა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის შექმნა.

კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის თანხმობით არ მოახდინა რატიფიცირება შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის შესაბამისი კონვენციების №81 „შრომის ინსპექციის შესახებ“, №121 „სანარმოო ტრავმების კომპენსაციის შესახებ“, №129 „სოფლის მეურნეობაში შრომის ინსპექციის შესახებ“, №155 „შრომის უსაფრთხოებისა და ჰიგიენის შესახებ“.

მშრომელმა ასეთი პოლიტიკის შედეგად ბევრ სხვა ზართან ერთად, კონკრეტული მატერიალური ზარალიც ნახეს – შრომის უნარის დაკარგვისას მუშაკი კომპენსაციის სახით ვერ იღებს ხელფასის 50%-ს, ხოლო მარჩენალ დაკარგული კი მარჩენალის ხელფასის 40%-ს.

მშრომელი ხალხისთვის ისეთი საკითხები, როგორც არის: შრომის სამართლებრივი, ტექნიკური და ეკოლოგიური უსაფრთხოების შეფასება, პროფლაქტიკა, დაზარალებული მუშაკის მკურნალობა, რეაბილიტაცია და მისთვის კომპენსაციის განწვევა, კვლავ ბრძოლის საგანია.

ტირან ედუარდ შვეარდნაძის ეკონომიკურმა და სოციალურმა პოლიტიკამ ქვეყანაში შრომითი რესურსის დეკვალიფიკაცია გამოიწვია. მისმა მემკვიდრემ მიხეილ სააკაშვილმა დემპინგური სოციალური და შრომითი სტანდარტები გააბატონა, ხოლო კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“ შრომის ბაზრის ტოტალური პოლარიზაცია მოახდინა. მათ არ სურდათ და არც ეხლა სურთ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის №102 კონვენციის „სოციალური დაცვის მინიმალური სტანდარტების შესახებ“ რატიფიცირება. ასეთი სოციალური უპასუხისმგებლობის შედეგი კი ისაა, რომ ქვეყანაში მოქმედი საარსებო მინიმუმის ნორმები ფიზიოლოგიურს არსებითად ჩამორჩება. შედეგად, ადამიანები, სამედიცინო ნორმის შესაბამის საკვებ პროდუქტებსაც კი ვერ იღებენ, ხოლო არასასურსათო პროდუქტები და მომსახურება მათთვის მართლაც საოცნებოა. სილატაკეში ისეთი მასშტაბები მიიღო, რომ მოსახლეობის უდიდეს ნაწილს რამე გასაყიდად მნიშვნელოვანი ქონება და ფინანსური დანაზოგი არ გააჩნია, მათ თვითრეალიზაციას კი არსებული საკუთრების, წარმოებისა და გაცვლის წესი დიდ ბარიერად ელმობა.

კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“ უცვლელად დატოვა ტირან ედუარდ შვეარდნაძის შემოტანილი და მისი მემკვიდრის მიხეილ სააკაშვილის მიერ განმტკიცებული სოციალურად უსამართლო შემოსავლების განაწილების სტრუქტურა და პროცესი. ამ პოლიტიკამ ასევე ათასობით ადამიანი მონყვიტა ტრადიციული სოციალური გარემოდან. მატერიალური სიდუხჭირე მათ ართმევს შესაძლებლობას თანამონაწილეობა მიიღონ სანათესაო, საახლოლო და სამეზობ-

ლო სოციალურ ცხოვრებაში. ამ პოლიტიკის შედეგია მოზარდ თაობაში განათლებისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულების გავრცელება.

კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“ უცვლელად შეინარჩუნა ტირან ედუარდ შვეარდნაძის მიერ დაწესებული მინიმალური ხელფასის 20 ლარიანი ნორმა და დააბრუნა მისი მმართველობის წლების სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის ტრადიცია.

კოალიცია „ქართული ოცნება“ ერთიანი ნაციონალური მოძრაობასთან პარტნიორულად აგრძელებს ტირან ედუარდ შვეარდნაძის მიერ ორგანიზებულ და კონცენტრირებულ სოციალურ ძალადობას მშრომელი ხალხის წინააღმდეგ. ბიუროკრატიულ-მონოპოლისტური კაპიტალი, თავისი ამ პოლიტიკური აგენტებით ახორციელებს დიქტატურას.

საქართველოს ხალხმა, მშრომელმა უნდა იცოდნენ, რომ ჩვენს ქვეყანას რატიფიცირებული დოკუმენტები, როგორც არის შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 1944 წლის „ფილადელფიის“ დეკლარაცია, სადაც ნათქვამია: „ყველა ადამიანს მიუხედავად მისი რასისა, რწმენისა და სქესისა, აქვს უფლება, თანასწორ პირობებში და ეკონომიკურად უსაფრთხო გარემოში მისიწარავადეს მატერიალური კეთილდღეობისკენ, თავისუფალი და ღირსეული ინტელექტუალური განვითარებისკენ“.

მხოლოდ გაერთიანებითა და ბიუროკრატიულ-მონოპოლისტური კაპიტალის პოლიტიკური აგენტურის უკუგდებით შეუძლიათ მშრომელს ღირსეული შრომის, სოციალური სამართლიანობისა და წარმატებული ცხოვრების მოპოვება. გამარჯვება ბრძოლაშია!

არასაოცნებო გადასახადები

1992 წლიდან საქართველომ ანტიკონსტიტუციური შეიარაღებული სახელმწიფო გადატრიალების შედეგად სოციალურად უსამართლო საგადასახადო სისტემა მიიღო. ტირან ედუარდ შვეარდნაძის და, მისი მემკვიდრის, მიხეილ სააკაშვილის რეჟიმების დამკვიდრებული გადასახადების პოლიტიკა გააგრძელა კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“.

მოქმედი საგადასახადო შემოსავლების სტრუქტურის ანალიზი ერთ დასკვნას იძლევა, რომ მისი უდიდესი ნაწილი ირიბი გადასახადებით ივსება, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანი 18%-იანი დამატებითი ღირებულების გადასახადია, რომელიც უპირატესად მშრომელი კლასების გადასახადია.

1992 წლიდან საგადასახადო სისტემა ფულადი შემოსავლების სოციალურად უსამართლო დიფერენციაციას ახდენს და მხოლოდ სიღარიბის ზრდას უწყობს ხელს. ამ სისტემამ შექმნა ღარიბთათვის სრულიად მიუწვდომელი მდიდართა ეკონომიკა და ინფლაციური პროცესების ხელშეწყობი ღარიბთა ეკონომიკა.

დღეს საზოგადოება ნათლად ხედავს, რომ საქართველოს პარლამენტში წარმოდგენილი პოლიტიკური პარტიები არ აპირებენ სოციალურად სამართლიანი საგადასახადო სისტემის პოლიტიკის გატარებას. მშრომელი კლასებისთვის კი აუცილებელია სოციალურად სამართლიანი საგადასახადო პოლიტიკის შემუშავება. ასეთ გამაერთიანებელ პოზიციად შეიძლება გახდეს

შემდეგი ხუთ პუნქტიანი მიდგომა:

1. მოხდეს ირიბი გადასახადების წილის შემცირება პირდაპირი გადასახადების წილთან;
 2. ღარიბი ადამიანებისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელ პროდუქტებსა და მომსახურებაზე შემცირდეს დამატებითი ღირებულების გადასახადი;
 3. ღარიბი ადამიანების იმ შემოსავალზე, რომელიც მათ არ უზრუნველყოფს მინიმალური სამომხმარებლო ბიუჯეტით, დაწესდეს სიმბოლური გადასახადი;
 4. ინვესტიციებსა და ინოვაციებზე დაწესდეს საგადასახადო შეღავათები, ხოლო აიწიოს გადასახადმა მოგებაზე, გამონაკლისი გაკეთდეს მხოლოდ იმ სანარმოებისთვის, რომლებიც ეწევიან ეფექტურ სოციალურ პროგრამებს;
 5. დაწესდეს მაღალი გადასახადი ფინანსურ ოპერაციებზე (ტობინის გადასახადი).
- ეს პლატფორმა მხოლოდ ზოგადი, მაგრამ პრინციპული პოზიციია, ხოლო კონკრეტული ნიშნულები, მათი შკალა და მოცულობები შეიძლება დადგინდეს სოციალურად სამართლიანი გადასახადების მხარდამჭერ სამოქალაქო ფორუმზე საერთო ეროვნული შეთანხმების სახით. სოციალური პასუხისმგებლობის მქონე ეროვნული გაერთიანებების დარაზმული მოქმედებით ნამდვილად შესაძლებელია სოციალურად სამართლიანი საგადასახადო სისტემის დამკვიდრება.

რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო გაზეთ „განათავისუფლების“ კითხვებს გაუპრბის

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოყენო დარბაზში 2015 წლის 17 სექტემბერს რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს პროექტის „რელიგია და სამართალი“ ფარგლებში წიგნის „ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები რელიგიის თავისუფლებაზე“ პრეზენტაცია გაიმართა. ეს პრეზენტაციაც ისევე რუტინულად ჩაივლიდა, რომ არა ამ სააგენტოს თავმჯდომარის ზაზა ვაშაყმაძის კატეგორიული წინააღმდეგობა; მან არ მისცა ეროვნულ-პატრიოტულ გაზეთ „განათავისუფლებლის“ კორესპონდენტს საშუალება დასწრებოდა ამ საჯარო ღონისძიებას, ისევე როგორც მიეცათ ამის უფლება მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებს.

სახელმწიფოს სააგენტოს მხრიდან გაზეთის მიმართ დისკრიმინაციული პოლიტიკა ადასტურებს, რომ ამ უწყებას აქვს ერთგვარი „ინდექსი“, რის საფუძველზეც, ცდილობს თავი აარიდოს გაზეთ „განათავისუფლებლის“ კითხვებს.

ფიქრები მღვდელმსახურ მამა გიორგი ჯიბუჭის ჰირად წრაგედიაზე - 2015 წლის 13 ივნისს სციქური უბედურების დროს მისი 5 თვის ფეხმძიმე შვიდის, ივდიცას დაღუპვის გამო...

როდესაც ინტერნეტში მღვდელ გიორგი ჯიბუჭის ტრაგედიის ამბავი გავრცელდა მისივე ფოტოთი, იმ დღეს ვერაფრით გავიხსენე, თუ საიდან მახსოვდა ეს სახელი და გვარი და სახეც, სანამ, გვიან ღამით, გონებაში არ ამომიტივტივდა მამა გიორგის სახეა...

2006 წელს, მე და ანგარდაცვლილ ჟურნალისტ მამია ალაშვილს, მამა კონსტანტინე კოლუაშვილმა გვთხოვა ინფორმაციულად დაეხმარებოდით ერთ ვაკელ შვილმკვდარ დედას კუთვნილი ქონების - ეკლესიის კელიის დაბრუნებაში. ეს შვილმკვდარი დედა პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ერთგული მხარდამჭერი ექიმი ქალბატონი მანანა ილურიძე აღმოჩნდა, რომელსაც 90-იანი წლების დასაწყისში, სამხედრო გადატრიალების შემდგომ გაბატონებულ კრიმინოგენურ ვითარებაში ერთადერთი ვაჟიშვილი მოუკლეს. იგი, შებინდებისას, ვიდუოკასეტის მეგობრისთვის გადასაცემად 5 წუთით ჩასულა ეზოში და როდესაც აღარ დაბრუნებულა, აწრიალებულ ოჯახს რამდენიმე საათის ძებნის შემდეგ მოკლული უპოვიათ.

შვილმკვდარმა დედამ, თავისი შვილის - გიორგის სახელზე ვაკის ახალ სასაფლაოზე, თავისი შვილის საფლავის წინამდებარედ, საკუთარი სახსრებით და პირადი შრომით ააგო წმიდა გიორგის სახელობის ეკლესია თავისი სამრეკლოთი, კელიით, ყვავილებით განამშვენა და კეთილმოაწყო ეზო. ყოველგვარი სამუშაოების დასრულების შემდგომ შვილმკვდარმა დედამ ქალბატონმა მანანა ილურიძემ საპატრიარქოში განაცხადი შეიტანა, რათა ამოქმედებულიყო ეკლესია; ახალაშენებულ ეკლესიაში მღვდლად მამა გიორგი(ჯიბუჭი) მოუვლენიათ.

მამა გიორგის ეკლესიის შიგნით ხის კიბით ამავალი „ანტრესოლი“ გაუკეთებია მგალობელთათვის, რაც ქ-ნ მანანასთან დამატებითი უთანხმოების მიზეზი გამხდარა; რამდენიმე წელიწადში შვილმკვდარ დედასა და მამა გიორგის შორის ურთიერთობა იმდენად დაძაბულა, რომ ქალბატონი მანანა უკვე თავისი შვილის საფლავზეც ვედარ მიდიოდა სანთლების ასანთებად. იგი საპატრიარქოსგან ითხოვდა მღვდლის შეცვლას და რადგან მისი თხოვნა არ იქნა დაკმაყოფილებული, საბოლოოდ მან კელიიდან მღვდლის გამოსახლების და შეზღუდული შესაძლებლობების პირთათვის საქველმოქმედო კერის გახსნის გადაწყვეტილება მიიღო, მამა გიორგი კი გასაღებს არ აძლევდა. დავა საკმაო ხანი გრძელდებოდა. ჩვენ დაძაბულობის პიკზე ჩავეერთეთ პრობლემის მოგვარებაში: ჩვენი თანდასწრებით, ქალბატონმა მანანამ გამოიძახა



საპატრიარქოს წარმომადგენელი და პატრულიც. რამდენიმე საათის დავის შემდეგ, ერთობლივი გადაწყვეტილებით მამა გიორგიმ, როგორც იქნა ინება კელიის გასაღების პატრონისთვის ჩაბარება. მანამდე კი ჩვენ შევეცადეთ ინტერვიუ აგვეღო მისგან, მაგრამ მამა გიორგიმ არ გაგვიკარა, „მეგისი მორფინისტი შვილიო...“ იძახდა გამწყვრალი გარდაცვლილ ახალგაზრდაზე. მე ნამდვილად არ ვიცი, იყო თუ არა ქალბატონ მანანა ილურიძის შვილი მორფინისტი, მაგრამ სამართალი კი ნამდვილად მის მხარეზე იყო, რამაც საქმე მის სასარგებლოდ გადაწყვიტა კიდევ.

ჩემთვის ასევე უცნობი იყო მამა გიორგის მრავალშვილიანობის (9 შვილი) შესახებ, რაც სამი წლის შემდეგ შევიტყვე, როდესაც 2009 წელს ტელევიზიით ვნახე ფონდ „იანანას“ მიერ მათთვის ბინის შესყიდვის ცერემონიალი და გულწრფელად შევწუხდი; რომ მცოდნოდა, იგი მრავალშვილიანი მამა იყო, ნამდვილად შევიკავებდი თავს მისთვის კელიის ჩამორთმევის საკითხში თანამონაწილეობისაგან, სადაც იგი, თურმე ღამეს ათევედა- ხოლმე საცხოვრებელი ფართის უკმარობისა გამო. თუმცა, ჩემი არმონაწილეობა, აღარაფერს შეცვლიდა...

ერთადერთი შვილის მკვლელობით გამწარებული მანანა ილურიძის მიმართ კი მამა გიორგის

დამოკიდებულება ნამდვილად შეუწყნარებელი იყო და ძალიან ვწუხვარ, რომ მრავალი წლის შემდგომ, იგი ამ ქალბატონზე უარეს მდგომარეობაში აღმოჩნდა...

ეს წერილიც ცოდვის გენეტიკურობის გულისხმისაყოფად დავწერე მხოლოდ...

ჩემს ფოტო-არქივში, მამა გიორგის, ჩვენს მიერ (ანგარდაცვლილ ჟურნალისტის მამია ალაშვილის) მაშინდელი გადაღებული ფოტო მოვიძიე და უსაზღვრო მწუხარებით აღვივსე...

ივლიტა ჯიბუჭი 18 ივნისს, ვაკის წმ. გიორგის ტაძრიდან, საბურთალოს სასაფლაოზე დაკრძალეს.

ცხადია დავინტერესდი, თუ გაიზიარა ჰუმანური პროფესიის მსახურმა ქალბატონმა მანანამ მამა გიორგის 13 ივნისის ტრაგედია და თუ უჭირისუფლა მას; ჩემდა გასახარად, ქალბატონი მანანა ყვავილებით ხელში გულდამძიმებული მისულა მამა გიორგის ოჯახში გულწრფელი სამძიმრის გამოსახატავად და მამა გიორგიც მტლედ შემოეველო, თურმე და მლაშე, სინანულის(?) ცრემლებით მისათუთებია მას...

ლელია ცომანია, 2015 წლის 18 ივნისი.
მამა გიორგი ჯიბუჭის ვიდეო იხ. <https://www.myvideo.ge/?act=dvr&chan=rustavi2hq>

2015 წლის 13-14 ივნისის წარღვნა...

წვიმის თქეში, თბილისში დაიწყო 22 სთ-ზე და გავრცელდა შუა ღამის 3 საათამდე. სტიქიური უბედურების (წყალდიდობის) შედეგად დაიღუპა 21 ადამიანი, ზოოპარკში არსებული ცხოველთა უმრავლესობა და ძაღლთაშენის ბინადართა (თელიზბარაშვილის) ძაღლების ნახევარი. უსახლკაროდ დარჩა 400 ოჯახი, ძირითადად მდ. ვერეს ხეობის მაცხოვრებლები.

საქართველოს კრიზისების მართვის საბჭოს მონაცემებით დაღუპულთა სია ასეთია:

1. ნინა რუბენის ასული ფილიშვილი, დაბ: 12. 10. 1971 წ. მცხ: სვანთის ქ. 11.
2. ჟანა ეგიზაროვა, დაბ: 27. 10. 1967 წ. მცხ: სვანთის ქ. 11
3. სვეტლანა ანდროს ასული ეგიზაროვა, დაბ: 07. 04. 1948 წ. მცხ: სვანთის ქ. 11
4. ლიანა ანდროს ასული ეგიზაროვა, დაბ: 16.

07. 1950 წ. მცხ: სვანთის ქ. 11
5. ინდირა მალხაზის ასული ზარანდია, დაბ: 1992 წ. მცხ: ხობი, სოფ. მეორე გურიფული, წმინდა გიორგის ქ. 1
6. ელიზა მალხაზის ასული ზარანდია, დაბ. : 16/10/1989;
7. ნატა ნიკოლოზის ასული ნინაშვილი, დაბ: 31. 01. 1973 წ. მცხ: ყვარელი, სოფ. ახალსოფელი, მე-8 ქ. N 8.
8. ნუგზარ ზურაბის ძე ბუაძე, დაბ: 11. 11. 1979 წ. მცხ: ლიბანის ქ. 5, ბ. 63
9. ნანა ალექსის ასული შუტკოვა, დაბ: 16. 08. 1955 წ. მცხ: თბილისი III მასივი X კვ. „ა“ კორ. , ბ. 16.
10. მალხაზ შოთას ძე ჭიტაძე, დაბ: 12. 06. 1956 წ. (აღმოჩენილია ზოოპარკის ტერიტორიაზე)
11. გულიკო გურამის ასული ჭიტაძე, დაბ: 13. 09. 1958 წ. (აღჩენილია ზოოპარკის ტერიტორიაზე)
12. გივი ვალერიანის ძე დვალი, დაბ: 23. 01.

- 1938 წ. (აღმოჩენილია ზოოპარკის ტერიტორიაზე)
13. გურამ გიორგის ძე პეტრიაშვილი, დაბ: 09. 08. 1953, მცხ: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ.
14. ივლიტა ჯიბუჭი (5 თვის ფეხმძიმე), 24 წლის
15. დავით გაბიტაშვილი, 40 წლის
16. ზურაბ მუზაშვილი(მაშველი).
17. სულიკო დიმიტრის ძე ნოზაძე, დაბ. : 06/12/1959.
18. კარპო ენუქიძე
19. ოთარ ცუხიშვილი, 43 წლის, დაგლიჯა მშვიერმა ვეფხვმა ზოოპარკის მიმდებარე ტერიტორიაზე, ყოფილ აბრეშუმის ფაბრიკის შენობაში 17 ივნისს.
- უგზო-უკლოდ დაკარგულად ამ დრომდე ითვლება: ელიზბარ შოთას ძე ბალაშვილი, დაბ. : 16/08/1961; ბექა თეიმურაზის ძე ბუთურაშვილი, დაბ. : 28/08/1981; სერგო ავთანდილის ძე კაპანაძე, დაბ. : 01/03/1984;

რეკლამა



ბადრი ზარანდიას მკვლელობის „ზვიადისტობასთან“ დაკავშირების გამო...

რისპირებით, ხოლო იმავე წლის 2 ივნისს დანიშნული ადგილობრივი არჩევნები მათ სრულად ჩაშალეს ზუგდიდში საარჩევნო უბნების დარბევითა და საარჩევნო ყუთების გატაცებით.

ცნობილია, რომ ბადრი ზარანდიას ჩართული იყო სხვადასხვა ბიზნეს-საქმიანობაში, კერძოდ - იარაღისა და ნავთობპროდუქტების, რაც სავარაუდოდ შეიძლებოდა გამხდარიყო მისი მკვლელობის მიზეზი კონკურენტული კრიმინალური ჯგუფების მხრიდან (წყარო: http://www.radiotavisupleba.ge/content/article/1525796.html, http://www.civil.ge/geo/article.php?id=2412), თუმცა არ არის გამოჩენილი, რომ მისი მკვლელობა შედიოდა შევარდნაძის ხელისუფლების ინტერესებშიც მისგან მომდინარე ახალი საფრთხეების (დესტაბილიზაციის და კრიმინოგენული ვითარების შექმნის), რამაც განაპირობა ინდივიდუალური დამოკიდებულება ზარანდიას განმარტებული მკვლელობისადმი და გამოძიების შეწყვეტა.

საგულისხმოა, რომ ზარანდიას მკვლელობიდან, სულ რაღაც ორიოდ თვეში (2003 წლის 4 მარტი) მოულოდნელად გარდაიცვალა ჯაბა იოსელიანიც თბილისის რესპუბლიკურ საავადმყოფოში, რის ოფიციალურ მიზეზად ინსულტი დასახელდა, ხოლო არაოფიციალურად კი გაუფრთხილდა ექვსი, რომ ჯაბა მონამღეს.

ორივე ვერსია (კრიმინალური და პოლიტიკური), პერიოდების გააზრებითაც, პოლარულად გვაშორებს ბადრი ზარანდიას მკვლე-

ლობის დაკავშირებას პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ე. წ. „მომხრეობასთან“ მისი პრეზიდენტობის დროს ერთგულების არარსებობის და საექსტრო ფაქტორების გამოც, რასაც ცხადყოფს ზარანდიას „მიბრუნება“ ჯაბა იოსელიანთან. ზარანდიას, თავისი შეიარაღებული დაჯგუფებით, ვახტანგ (ლოთი) ქობალას სამხედრო შენაერთის მსგავსად, მოვალეობისამებრ არ ერთგულებდა პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას, რამაც საბოლოოდ, ერთობლიობაში განსაზღვრა ყოფილი მთავარი კატასტროფული შედეგი, როგორც ერისა და ქვეყნის მიმართ, ასევე პრეზიდენტის პიროვნული ტრავმის მიმართაც.

საგულისხმოა, რომ ბადრი ზარანდიას, გარდა კრიმინალური ბუნებისა, „მეზურების“ წერის მანერითაც საოცრად ჰგავდა ჯაბა იოსელიანს, რის პროდუქტადაც ზარანდიამ „დღიურები“ დაგვიტოვა, ხოლო იოსელიანმა კი, ანუ ჯგუფი წინააღმდეგობის „სამი განზომილება“, რითაც ორივემ მნიშვნელოვანი ინფორმაციები გაამჟღავნეს საკუთარი გარემოცვის შიგნით არსებული „კულუარული“ ბატალიებისა.

ამდენად, ბადრი ზარანდიას მკვლელობის რაიმე ნიშნით დაკავშირება პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას პერიოდთან და მიუთმეტეს, სახელთან, კატეგორიულად გამოსარიცხი და მცდარია!

ლეილა ცომაია, 2015 წლის 11 აგვისტო.

ღირსი მამა სერაფიმა საროველის უბოძებანი

„წყალი იქ დალიე, სადაც ცხენი სვამს - ცხენი არასდროს დაღვეს უვარგისს.

ლოგინი იქ გაიშალე, სადაც კატა მოკალათდა.

ხილი ჭამე, რომელსაც ჭიყვავილა შეეხო, ხოლო სოკო მოკრიფე, რომელზეც ქინქლა ჯდება.

ხე დარგე იქ, სადაც თხუნელა მინას თხრის. სახლი აიშენე, სადაც გველი მზეს ეფიცხება.

ჭა გათხარე, სადაც ჩიტები გვალვაში ბუდობენ.

დაწევი და ადევი ჩიტებთან ერთად - დღის ოქროს მარცვალს იქონიებ.


მიირთვი მეტი მწვანე ფერის საკვები - გექნება ძლიერი მუხლი და ამტანი გული, როგორც ცხოველს!

იცურავე ხშირად - და იგრძნობ მინახე თავს, როგორც თევზი წყალში.

ხშირად ახედე ზეცას და არ დააშტერდე ფეხებს - გექნება აზრები ნათელი და სუფთა.

მეტად გაჩუმებული იყავი და ნაკლები ილაპარაკე - დაისადგურებს შენს სულში სიჩუმე.

ხოლო სული გექნება მშვიდი და წყნარი...“



ჩოლის გზაზეა თბილისი სისუფთავისა და წესრიგის დღეაქამდე?

დედაქალაქის მერმა ბატონმა ნარმანიამ, თბილისელებს, მერამდენედ მოგვცა პირობა, რომ დედაქალაქის შენობებს დაიცავდა მახინჯი წარწერების და სარეკლამო ბანერებისაგან, რისთვისაც ჯარიმაც კი დაანებსა, თითქოს, მაგრამ აღარც ეს პირობა სრულდება და დედაქალაქი

ლაქი სრულიად დაუცველი გახდა მაგანთა თვითნებური ქმედებებისაგან, უკულტურობა და სიმახინჯე კი თვლას და თავსაც გვჭრის ტურისტების თვალშიც. „თავისუფლების“ მეტროდან ამავალ კიბეზე ახალგაზრდობის კედელს აი ასე „ამშვენიება“ ორი ახალგაზრდა „თბილისი

მართონის“ სარეკლამო ფურცლებით. ფოტოზე აღბეჭდილია ნებოს ვედროთი და გასაკრავი ბანერებით ხელში გოგონები, რომლებიც დავაფიქსირე და ხმამაღალი შენიშვნის მიუხედავად, მათ მაინც გააგრძელეს თავიანთი საქმიანობა.

დედაქალაქის მერო, ბატონო დავით, ნუთუ ასე ძნელია მოუაროთ ქალაქს? ყველა ბანერზე დაფიქსირებულია მესაკუთრე თავისი მისამართით და საკმარისია რამდენიმე მათგანი დააჯარიმოთ ოფიციალური განაცხადით, რომ სულ მალე შეწყდება ამგვარ მოხუცივანო ელემენტთა თავნებობანი, რის შემდეგაც ეფექტური გახდება წარწერების, ნაჯღაბნებისა თუ ბანერებისაგან შენობების განმწმენდაც. აგრეთვე, დედაქალაქის პროსპექტები ნაგვის მომცრო ურნების თვალშისაცემ ნაკლებობასაც განიცდის, რის გამოც დანაგვიანებულია ქუჩები; მიუხედავად შესაბამისი საჯარიმო კანონის არსებობისა, არ სრულდება და ფიქციადაა ქცეული კანონიც მოქალაქეთა მიერ ქუჩების

დანაგვიანების შესახებ. აგრეთვე, მერიაში შექმნილია ხმაურისაგან მოქალაქეთა დაცვის სპეციალური სამსახური მაღალანაზღაურებადი ხელფასებით, მაგრამ არაფერს გვინახავს ამ სამსახურისგან დასჯილ-დაჯარიმებული პირები 21 საათიდან 7 საათამდე ატეხილი ხმაურის გამო, განსაკუთრებით კი პოლიციელთა საპატრულო მანქანების სირენებისაგან გვიანი ღამის საათებში და არც სურსათის დაცვის უზენებლობის სამსახური მუშაობს ჯეროვნად...

ბატონო მერო, ნუ აქცევთ თქვენსავე მიღებულ კანონებს ფიქციად, აღასრულეთ კანონი, დაიცავით დედაქალაქი სიბინძურისა და სიმახინჯეებისაგან!

თქვენ კი, ძვირფასო თბილისელებო, ნუ მოუხუჭავთ თვალს ამგვარ უმსგავსოებს, თქვენც აიმაღლეთ თქვენი წილი ხმა, ეს თვითოეული ჩვენთაგანის მოვალეობაცაა!

ძმთაგან შანტურია



ზვიად გამსახურდიას პასუხი ანდრეი სახაროვისადმი აფხაზეთსა და სამაჩაბლოსთან დაკავშირებით

ჟურნალ "ოგონიოკი" (№ 31, 1989 წ.) დაიბეჭდა ცნობილი დისიდენტის ანდრეი სახაროვის ინტერვიუ, რომელშიც იგი წერდა:

"მე ვიძლევი კონფედერაციის წინადადებას. ყველა რესპუბლიკას - მოკავშირე საცა და ავტონომიურსაც, ავტონომიურ ოლქებს, ნაციონალურ ოკრუგებს უნდა მიეცეთ თანაბარი უფლება ამჟამინდელი ტერიტორიული საზღვრების შენარჩუნებით. ყველა მათგანმა უნდა მიიღოს დამოუკიდებლობის მაქსიმალური ხარისხი. მათი სუვერენიტეტი მინიმალურად უნდა იქნეს შეზღუდული ერთობლივი თავდაცვისა და საგარეო პოლიტიკის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის საკითხებით... დანარჩენში ისინი უნდა იყვნენ დამოუკიდებელი და ასე უნდა მოაწერონ ხელი ახალ სამოკავშირეო ხელშეკრულებას..."

უნდა დავინყოთ იმპერიული სტრუქტურის სრული დემონტაჟით. მხოლოდ ასე შეიძლება ნაციონალური პრობლემის გადაჭრა მცირე იმპერიებში, როგორცაა ახსენებთარადა გვევლინებიან რესპუბლიკები - მაგალითად, საქართველო, რომლის შემადგენლობაშიც მოქცეული არიან აფხაზეთი, ოსეთი და სხვა ეროვნული წარმონაქმნები. თუკი საქართველოთი დავინყებთ და რსფსრ-ში იგივეს არ გავაკეთებთ, წარმოიქმნება დიდი სირთულეები, ხოლო თუ კონფედერაციად გადაკეთება მოხდება მთელ უზარმაზარ ქვეყანაში, საქმე გაიოლდება..."

ანდრეი სახაროვისადმი პასუხი არ დააყოვნა ზვიად გამსახურდიამ, რომელიც გაზეთ "ვეჩერნი ტბილისში" დაიბეჭდა რუსულ ენაზე სათაურით: "ობიექტურობის ხარისხი - ღია წერილი ანდრეი სახაროვს". გათავაზობთ ფრაგმენტებს ამ პასუხიდან:

"... თქვენ ჩაერთეთ ანტიქართულ კამპანიაში და საქართველო გამოაცხადეთ "იმპერიად", რომელშიც თითქოსდა თავის შემადგენლობაში გაერთიანა აფხაზეთი, ოსეთი და სხვა ეროვნული წარმონაქმნები ("ოგონიოკი" №31). სინაულისით უნდა აღინიშნოს, რომ თქვენ, დიდი ფიზიკოსი, რატომღაც ყოველთვის ავლენდით განსაცვიფრებელ გაუთვითონებობებსა და ევოლუციის საკითხებში. მაგალითად, 1973 წელს თქვენი ეგიდით გამოვივალა არაოცდიალური თვითგამოცემის ჟურნალი "მიმდინარე



მოვლენათა ქრონიკამ" ("Хроника текущих событий") გამოაქვეყნა წერილი "თურქ-მესხთა მოძრაობა სამშობლოში დასაბრუნებლად". არადა, თურქ-მესხები ისევე არ არსებობენ ბუნებაში, როგორც შოტლანდიელი-ჩინელები. ეს ტერმინი მოგონილია ქართველ მუსულმანთა წრის გაუნათლებელი, ბნელი ადამიანების მიერ, რომლებიც ვერ არჩევენ რელიგიასა და ეროვნებას ერთმანეთისაგან - თავს თვლიან თურქებად მხოლოდ იმ მიზეზით, რომ მუსულმანები არიან. მაგრამ თქვენ, მეცნიერი, აკადემიკოსი ხომ უნდა გრძობდეთ ამ განსხვავებას, ან დიდ საბჭოთა ენციკლოპედიაში მაინც ჩაგვხედათ (იხ. სტატია მესხების შესახებ).

ყოველივე ამასთან დაკავშირებით ჩვენ წარმოგიდგინეთ თქვენ და მოსკოვის ჰელსინკის ჯგუფის ცნობა მესხების, როგორც ქართული ტომის თაობაზე, მომზადებული მიკლუხო-მაკალის ეთნოგრაფიის ინსტიტუტის მიერ, რის შედეგადაც შეიქმნა

მოსკოვის ჰელსინკის ჯგუფის ცნობილი დოკუმენტი "მესხთა მდგომარეობის შესახებ".

ახლა კი თქვენ იგივეს აგრძელებთ. თქვენს მიერ "ოგონიოკი" გაკეთებული განცხადებით დაამტკიცეთ, რომ არ იცით ტერმინი "აფხაზეთის" მნიშვნელობა და არც ის, თუ რა მიმართება გააჩნია მას ტერმინ "საქართველოსთან". რათა არ შეგანყინოთ თავი სხვადასხვა ისტორიკოსების ნაშრომთა ციტირებით, კვლავ დავეყრდნობი დიდ საბჭოთა ენციკლოპედიას: "ჩვენს წელთაღრიცხვაში პირველი ათასწლეულის შუა ხანებში დაიწყო ადგილობრივი ეთნიკური ტიპის ჩამოყალიბება. აფხაზეთი მაშინ კოლხიდის, ერთ-ერთი უძველესი ქართული სახელმწიფოს, ნაწილს შეადგენდა". ასე რომ, როგორც ხედავთ, აფხაზეთი ძველთაგანვე საქართველოს ნაწილი იყო. კიდევ მეტი, აფხაზეთად იწოდებოდა დასავლეთ საქართველო, ზოგჯერ - მთელი საქართველოც, როგორც, მაგალითად, ნიჰამი განჯელის ცნობილ პოემა "ისკანდერ ნამუში"(XII ს.), სადაც აფხაზეთის (საქართველოს) დედაქალაქად დასახელებულია ტფილისი. ასე რომ, აფხაზეთი საქართველოს მერვე სახელია, ისევე როგორც ალბონი - მეორე სახელია ინგლისის.

თუმცა ახლანდელ დროში "აფხაზებს" არასწორად უწოდებენ ჩერქეზთა მონათესავე აფსუთა ჩრდილოეთ-კავკასიურ, ადიღურ ტომს, რომელიც XVII საუკუნიდან იპროზის ისტორიული აფხაზეთის ჩრდილოეთ ნაწილს, ახდენს იქ მცხოვრებ ქართველთა ასიმილირებას და მკვიდრდება იქ. (იხ. აკად. ნ. ბერძენიშვილი "საქართველოს ისტორიის საკითხები", ტ. 8 - ქართულ ენაზე).

აი, ვის უწოდებენ დღეს აფხაზებს, როგორც ეგვიპტელ არაბებს - ეგვიპტელებს, ან პალესტინელ არაბებს - პალესტინელებს. ყოველივე ეს არის ისტორიისა და ევოლუციის ანბანი, რასაც დღეს აყალიბებენ მოსკოველი და აფსუელი ცრუ-მეცნიერები საქართველოსგან მისი ჩრდილო-დასავლეთ ნაწილის მოწყვეტის საძრახის მიზნით. და დღეს თქვენ ბანს აძლევთ იმ ფალსიფიკატორებსა და იმპერიალისტებს, რომელთაც გუშინ ამხილებდით სხვა დანაშაულებებისათვის.

რა გავწყობა, რაკი თქვენ ერწმუნეთ მითს, რომლის მიხედვითაც ქართველები არიან აფხაზეთის დამპყრობნი, რადგან ის

საქართველოს ფარგლებში მოუქცევიათ, გორჩევეთ ერთხელ, როდესაც სოხუმში იქნებით დასასვენებლად, მცირედი ექსკურსია მოაწყობთ მდინარე ბესლეთის ხეობაში (ჭანბას ქუჩაზე), სადაც ნახავთ XII საუკუნეში თამარ მეფის მიერ აგებულ ხიდს. იქ არის ფილა შემდეგი წარწერით: "ხიდზე შემორჩენილია ქართული წარწერა მთავრული ასოებით". მაგრამ სიტყვა "ქართული" ნაშლილია, დარჩენილია მხოლოდ სიტყვა "წარწერა". საკითხავია, ვინ წაშალა?

ეტყობა იმათაგანმა, ვინც ამტკიცებს, რომ აფხაზეთი არასდროს საქართველო არ ყოფილა და ქართველმა იმპერიალისტებმა აფხაზეთი ხელში ჩაიგდეს... XX საუკუნეში აი, როგორ ადამიანებსა აქვთ თქვენზე ზევადღება! რაც შეეხება ე. წ. "სამხრეთ ოსეთს", კვლავ მოგვიწევს თქვენი გადამისამართება დიდი საბჭოთა ენციკლოპედიაში: "თანამედროვე ოსების წინაპრები არიან ალანები, რომლებიც თავდაპირველად ცხოვრობდნენ ჩრდილოეთ კავკასიაში... ხოლო XIII საუკუნეში, მონღოლ-თათართა შემოსევის შედეგად, რომლებმაც სამომთაბეროდ ხელსაყრელი ჩრდილოეთ კავკასიის სტეპები დაიპყრეს, ოსებმა XIII საუკუნის შუახანებიდან დაიწყეს შემოსახლება ცენტრალური კავკასიის (ახუ საქართველოს - ზ. გ.) მთებში". ასე რომ, როგორც ხედავთ, არც ოსები და არც აფსუები (აფხაზები) არ არიან ქართულ მიწაზე აბორიგენები. ისინი აქ ჩამოვიდასახლდნენ, როგორც არაბები ეგვიპტეში და ისრაელის ისტორიულ ტერიტორიებზე. ყველაფერი ეს არის ისტორიისა და გეოგრაფიის ანბანური ქვეყნარტება. პირად საუბარში თქვენ ჩემთვის, როგორც ფილოლოგისთვის, არაერთგზის მოგიციათ შენიშვნა ატომური ფიზიკის დარგში. ახლა კი ჩემი ჯერია გამხილოთ ჩემი ქვეყნის ისტორიისა და გეოგრაფიის უცოდინრობაში.

თანაც, თქვენ არასოდეს არ დაგიგმიათ ისრაელი პალესტინელთა წინააღმდეგ მოქმედებისთვის, არ გინოდებიათ მისთვის "დამპყრობელი" და "იმპერიალისტი", რაც უსამართლობა იქნებოდა. მაშ, რა დააშავა თქვენს წინაშე პატარა საქართველომ, საბჭოთა კავშირის ყველაზე შევიწროებულმა და დისკრიმინირებულმა ხალხმა?"

წყარო: georoyal. ge

წყარო: <http://rustavi2.com/ka/news/18258>

ქვეყნის ჩამონათვანი, რომელთა მოქალაქეებსა საქართველოში უფროდ 16 ლით უაქალიათ

საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა იმ ქვეყნების სია, რომელთა მოქალაქეებსაც საქართველოს ტერიტორიაზე უფროდ ყოფნა ერთი წლით, 365 დღის განმავლობაში შეუძლიათ. დადგენილება მთავრობამ 2015 წლის 8 ივნისს მიიღო.

1. ავსტრალიის თანამეგობრობა
2. ავსტრიის რესპუბლიკა
3. აზერბაიჯანის რესპუბლიკა
4. ალბანეთის რესპუბლიკა
5. ამერიკის შეერთებული შტატები
6. ანდორის სამთავრო
7. ანტიგუა და ბარბუდა
8. არაბთა გაერთიანებული საამიროები
9. არგენტინის რესპუბლიკა
10. ახალი ზელანდია
11. ბარბადოსი
12. ბაჰრინის სამეფო
13. ბაჰამის თანამეგობრობა
14. ბელარუსის რესპუბლიკა
15. ბელგიის სამეფო
16. ბელიზი
17. ბოსნია და ჰერცეგოვინა

18. ბოტსვანის რესპუბლიკა
19. ბრაზილიის ფედერაციული რესპუბლიკა
20. ბრუნეი-დარუსალამი
21. ბულგარეთის რესპუბლიკა
22. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა
23. დანიის სამეფო
24. დანიის სამეფოს ტერიტორიები - ფარერის კუნძულები და გრენლანდია
25. დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფო
26. დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს საზღვარგარეთის ტერიტორიები - ბერმუდის კუნძულები, კაიმანის კუნძულები, ბრიტანეთის ვირჯინის კუნძულები, ფოლკლენდის კუნძულები, ტერკსის და კაიკოსის კუნძულები, გიბრალტარი
27. დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს დამოკიდებული

28. დომინიკის რესპუბლიკა
29. ელ-სალვადორი
30. ეკვადორის რესპუბლიკა
31. ესპანეთის სამეფო
32. ესტონეთის რესპუბლიკა
33. თურქეთის რესპუბლიკა
34. თურქმენეთი
35. იაპონია
36. ირლანდიის რესპუბლიკა
37. ისლანდია
38. ისრაელის სახელმწიფო
39. იტალიის რესპუბლიკა
40. კანადა
41. კატარის სახელმწიფო
42. კვიპროსის რესპუბლიკა
43. კოლუმბიის რესპუბლიკა
44. კორეის რესპუბლიკა
45. კოსტა-რიკის რესპუბლიკა
46. ლატვიის რესპუბლიკა
47. ლიტვის რესპუბლიკა
48. ლიბანის რესპუბლიკა
49. ლიხტენშტაინის სამთავრო
50. ლუქსემბურგის დიდი საჰერცოგო
51. მაგრიკის რესპუბლიკა
52. მალაიზია
53. მალტის რესპუბლიკა
54. მექსიკის შეერთებული შტატები
55. მონაკოს სამთავრო
56. მოლდოვის რესპუბლიკა
57. მონტენეგრო
58. ნიდერლანდების სამეფო
59. ნიდერლანდის სამეფოს ტერიტორიები - არუბის და ნიდერლანდის ანტილის კუნძულები
60. ნორვეგიის სამეფო
61. ომანის სასულთნო
62. პანამის რესპუბლიკა
63. პოლონეთის რესპუბლიკა
64. პორტუგალიის რესპუბლიკა
65. რუმინეთი
66. რუსეთის ფედერაცია
67. საბერძნეთის რესპუბლიკა
68. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა
69. სან-მარინოს რესპუბლიკა
70. საუდის არაბეთის სამეფო
71. საფრანგეთის რესპუბლიკა
72. საფრანგეთის რესპუბლიკა

73. სეიშელის კუნძულები
74. სენტ-ვისენტი და გრენადინები
75. სერბეთის რესპუბლიკა
76. სინგაპურის რესპუბლიკა
77. სლოვაკეთის რესპუბლიკა
78. სლოვენის რესპუბლიკა
79. სომხეთის რესპუბლიკა
80. ტაილანდის სამეფო
81. ტაჯიკეთის რესპუბლიკა
82. უზბეკეთის რესპუბლიკა
83. უკრაინა
84. უნგრეთი
85. ფინეთის რესპუბლიკა
86. ქვეყნის სახელმწიფო
87. ყირგიზეთის რესპუბლიკა
88. ყაზახეთის რესპუბლიკა
89. შვედეთის სამეფო
90. შვეიცარიის კონფედერაცია
91. ჩეხეთის რესპუბლიკა
92. წმინდა საყდარი
93. ხორვატიის რესპუბლიკა
94. ჰონდურასის რესპუბლიკა

ჯანმრთელობის გვერდი



როგორ ვუმკურნალოთ ღვიძლს გობრით – რეცეპტი C ჰეპატიტით დაავადებულებისთვის

ღვიძლის სხვადასხვა დაავადების სამკურნალოდ, განსაკუთრებით, C ჰეპატიტის შემთხვევაში, დაგეხმარებათ გობრის რეცეპტი: საშუალო ზომის გობრას მოაჭერით თავი, გაასუფთავეთ გული თესლებისგან და ნახევრად აავსეთ თავლით. დაახურეთ თავსახური და გაჭრილი ადგილი დაანებეთ პურის ცომით. გობრა მოათავსეთ ბნელ ადგილას ოთახის

ტემპერატურაზე 10 დღით. მე-11 დღეს უკვე შეგიძლიათ დაიწყოთ ღვიძლის მკურნალობა. მიღებული წვენი მიიღეთ 1 ს. კ. 3-ჯერ დღეში, 40 წუთით ადრე ჭამამდე. მკურნალობის კურსი – 1 თვე.

წყარო: <http://excluziuripostebi.ga/rogor-vumkur-nalot-gvidzls-gogrit-recepti-c-hepatitit-daavadebule-bistvis/>

ეს ქალი 8 თვის განმავლობაში ყოველდღე სვამდა სტაფილოს წვენს - არ ღაიჯებოთ, რა მოხდა!

ენ კემერონი, უამრავი საბავშვო წიგნის ავტორი, შოკში იყო, როდესაც გაიგო, რომ მას მსხვილი ნაწლავის კიბო დაუდგინეს. 2012 წლის ივნისში მისი ავადმყოფობა გადავიდა კრიტიკულ, სახიფათო მესამე სტადიაში, მაგრამ 6 თვის შემდეგ კიბო გავრცელდა ფილტვებზეც და მეოთხე სტადიის კიბო დაუდგინეს. ენ კემერონმა მოიძია ერთი ადამიანის ისტორია კანის კიბოს დიაგნოზით, რომელმაც თვითონ განიკურნა თავი ამ საშინელი დაავადებისგან! ერთადერთი მკურნალობის მეთოდის სახით, ის იყენებდა სტაფილოს წვენს: ყოველდღე წურავდა მას 2,5 კგ სტაფილოსგან. ენმა



ჩათვალა, რომ ეს მისი ბოლო შანსი იყო. ექსპერიმენტის დაწყებიდან 8 კვირის შემდეგ სიმსივნის ზრდა შეჩერდა, ცოტა მოგვიანებით კი დაიწყო შემცირება. 4 თვის შემდეგ სიმსივნე აგრძელებდა შემცირებას და ფილტვის კიბომ უკან დაიხია. 8 თვის შემდეგ კი ექიმებმა დაადგინეს, რომ კიბო მთლიანად გაქრა. ეს დაამტკიცა ერთდროულად რამდენიმე კლინიკის ექსპერტიზამ!

წყარო: <http://www.marao.ge/sakithkhavi/siakhle/10525-es-qali-8-thvis-ganmavlobashi-yoveldghe-svam-da-stafilos-tsvens-ar-dajjerebth-ra-mokhda.htmlwyo>

რატომ უნდა იძინოთ მარცხენა მხარეს - სიკვდილ-სისოცხლის საკითხია




ყველასთვის ცნობილია, რომ ძილი უმნიშვნელოვანესია ადამიანის ფსიქიკისა და ჯანმრთელობისთვის. მაგრამ ძილის პოზა არანაკლებ მნიშვნელოვანია და მასზეა დამოკიდებული კანის სიჯანსაღე, წონა, ენერჯიულობა და ჯანსაღი ფსიქიკა. კარგი ძილისთვის, უნდა დაწვეთ მარცხენა მხარეს და გახსოვდეთ, რომ ამ პოზაში ძილი თქვენს სიცოცხლეს გადაარჩენს. ზურგზე წოლა საშიშია - განსაკუთრებით მათთვის, ვისაც ჰაერის უკმარისობა ან ასთმა აწუხებს. წოლის ერთადერთი უსაფრთხო პოზიცია - მარცხენა მხარეს ძილია. საქმე იმაშია, რომ სხეულის მარცხენა მხარესაა ლიმფური კვანძების

უმრავლესობა და როცა ამ მხარეს გძინავთ, სხეული ეფექტურად ფილტრავს ტოქსინებს და ა. შ. მარჯვენა მხარეს წოლისას კი ფერხდება თქვენი ლიმფური სისტემა. ამ დროს ორგანიზმის წმენდა ვერ ხერხდება და საბოლოოდ სასიკვდილო დაავადებებამდე მიჰყავხართ. დადგენილია, რომ მარცხენა მხარეს წოლისას კარგად მუშაობს მომწელებელი სისტემაც. ასე რომ თუ ღამით ჭამა გიყვართ, აუცილებლად გაითვალისწინეთ ეს ფაქტი. წყარო: <http://www.reitingi.ge/ise/5518-ratom-unda-idzinoth-marckhena-mkhares-sikvdil-sicockhlis-sakithkhia.html?lang=ka-GE>

პოდაგრის მკურნალობა იოდითა და ასპირინით

იოდის გამოყენებას, როგორც პოდაგრის სამკურნალო საშუალებას, გააჩნია უამრავი დადებითი გამოხმაურება ადამიანებისგან, რომლებმაც გამოსცადეს თავის თავზე მისი სასიკეთო მოქმედება. ითვლება, რომ იოდი ღრმად აღწევს პოდაგრით დაზიანებულ სახსარში და აქრობს ანთების კერას. სკეპტიკოსების აზრის მიუხედავად, ამ სამკურნალო საშუალების სარგებელი საკმაოდ საგრძნობია. იოდი-10 მლ ასპირინი – 5 აბი იოდი გადაასხით შუშის ჭურჭელში და დაამატეთ წინასწარ დაფშენილი ასპირინის აბები. ასპირინი მთლიანად უნდა გაიხსნას იოდში და გააუფერულოს ის. მას შემდეგ, რაც სამკურნალო სითხე გალიავდება, ის უკვე შეიძლება გამოიყენოთ სამკურნალო მიზნისთვის.

წყარო: <http://aww.ge/podagris-mkurnaloba-iodita-da-aspirinit-2-recepti-me-ukves-problema-movishore/>



ს უ ლ თ ა თ ა ნ ა

“... კეჩიკინ შემაცვლევინებს გზას, რომელსაც ჩემი მოხუცი დედის ფოცვა-კურთხევით დავადექი!”



ამ რწმენითა და სიმტკიცით განვლო თავისი ხანმოკლე ცხოვრება ყოფილმა პოლიტპატიმარმა და შემდგომ მღვდელმსახურმა მამა გაბრიელმა, ერობაში ნემო ჭანტურია. „საპრობლემაში ყოფილი კედელი ვერ შემბოჭავენ, ვერც მოხელისუფლო ცოდვისშვილთა შთავგონებანი“ გამარჯვებულ ჩემს რწმენას, ვერც სიკვდილი იქნება ჩემი სამანი“, - ნერდა ერთგან პოლიტპატიმარი ნემო ჭანტურია. და დად-

გა სიკვდილის - გარდაცვალების დღე - 2015 წლის 14 სექტემბერი. ვერც ეს შებოჭავს მამა გაბრიელს, მისი პატიოსანი და დუმორჩილებელი სული საქართველოს თანამდევნი იქნება მარად! ნემო ვარლამის ძე ჭანტურია დაიბადა 1959 წლის 18 მაისს, ფოთში. ცხოვრობდა გალის რაიონის სოფელ თაგილონში. 1981-1991 წწ. იგი მუშაობდა სოხუმის შსს განყოფილებაში, ხოლო 1991 წლიდან ეროვნული გვარდიის წევრი გახდა მაიორის ჩინით. ნემო ჭანტურია სენაკის N2 ბატალიონის შტაბის უფროსად დანიშნეს, მას სამოქალაქო მოსახლეობის ტერორიზმისაგან დაცვა ევალებოდა.

“განდევნილ იქნა საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია. ვაებამ მოიცვა სამშობლო“, - ნერდა მოგვიანებით საპრობლემაში გამოგზავნილ ნერილში ნემო ჭანტურია. ხოლო მანამდე, მტკიცედ იდგა და იცავდა სამეგრელოს სოფლებს მომხდურისაგან. 1992 წ. სექტემბერში, როდესაც იარაღის ძალით ხელისუფლების სათავეში მოსული „შხედრონი“ სამხედრო ნაწილების განმეორებითი სადამსჯელო ექსპედიცია ხორციელდებოდა სამეგრელოში, იგი სენაკში დააპატიმრეს. ბრალდება კი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 67, 73, 104 და 133 მუხლებით წაუყენეს - ტერორიზმი, ბანდიტიზმი, დივერსია. ასე შეიქმნა საქმე N10 - „კავსადის გამტაცებლები“.

ნერილში ნერდა ახლობლებს სიკვდილის პირას მყოფი პოლიტპატიმარი. 1999 წელს ე. წ. ხელისუფლება იძულებული გახდა, მძიმე, უკურნებელი ავადმყოფობის გამო ნემო ჭანტურია საპრობლემაში გაეთავისუფლებინათ. ნემო ჭანტურია იმ რწმენითა და სიმტკიცით გამოვიდა საპრობლემაში, რითაც იგი პატიმრობის რვა წლის მანძილზე სულდგმულობდა: “მე დაბეჯითებით მჯერა ეროვნული ხელისუფლებისა და კანონიერების აღდგენისათვის მებრძოლი ლაშქრისა, რომ სულ მალე გამარჯვება მთელი ერის სურვილით ჩვენთან იქნება... ჩემი ცხოვრების მიზანია საქართველოს თავისუფლება და კანონიერებისა და სამართლიანობის აღდგენა“, - ესეც ამონარიდი მისი ერთ-ერთი ნერილიდან. “ვერავინ შემაცვლევინებს გზას, რომელსაც ჩემი მოხუცი დედის ლოცვა-კურთხევით დავადექი“, - ნერდა იგი და სწამდა, “დედა-შვილობის მფარველი ღმერთი კი არ გამინრავს, რომ ავცდე სიმათლის გზას...”. 2003 წელს სიმათლის გზამ ყოფილი პოლიტპატიმარი ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის წიაღში მიიყვანა. ათი წლის მორჩილების შემდეგ, 2013 წელს ბერად აღიკვეცა და სახელად მამა გაბრიელი ეწოდა.

მამა გაბრიელი საქართველოს ერთ-ერთ უღამაზეს კუთხეში - ხევში, სოფელ სნოში, თორმეტი მოციქულის სახელობის სამლოცველოში მსახურებდა და იქვე გარდაიცვალა მიმდინარე წლის 14 სექტემბერს. მისი პატიოსანი ნეშტი სოფელ არხოტის წმ. ნიკოლოზის სახელობის ტაძარში გადააბრძანეს, 15 სექტემბერს დაკრძალეს სოფელ სნოს სასაფლაოზე.

სინაზითა და გაუცხებლობით გამორჩეული მანანა მედაძე

სიმათლისათვის ერთად ბრძოლის დრომ ელვარე მეტეორით ლამეულ ცაზე ისე ჩაიქროლა, რომ ერთმანეთისათვის რიგანად თვალის შევლება ვერ მოვასწარით. თანდათან გავიცანით ურთიერთი. უფლის, საკუთარი ინტუიციისა და გამოცდილების იმედად, ურთიერთობით ჩავეჭიდეთ ერთმანეთს. 20 წლის მშვენიერ პეპულასავით შემოფრინდი ეროვნულ მოძრაობაში და შენი ასაკისათვის დაუფერებელი გონიერებით, ცოდნით, გამბედაობით, გასაოცარი შრომის უნარით ყველა დაატყვევე. შენი კეთილი ღმირისათვის, გვერდით მყოფი ყოველთვის ცდილობდა საკუთარი შესაძლებლობების ზღვარზე ევლო, ამაყი და მომართული გრძობდა თავს.

გულმა, -ო, და „ნადის“ მეც ნამოვალა“ მიაყოლა. დეპრეზივი მონარეზობით ერთად და ძნელად თუ ვინმე დაიფერებდა, რომ ზვიად გამსახურდიას, საქართველოს პელსინკის კავშირის მიმართევი თუ პოლიტპატიმართა დასაცავი კედელზე გაკრული პროკლამაციები თქვენი „ნაოსტატარი“ გახლდა.

გიორგი ინსტიტუტი, ინგლისური ენის განხრით. ასევე ამავე ინსტიტუტთან არსებული სინქრონული თარგმნის ორწლიანი უმაღლესი კურსები, დიპლომირებული. მაქვს დამთავრებული ევგენი მიქელაძის სახ. 9-ე სამუსიკო ათწლედის, ფორტეპიანოს კლასი.

ჩემი სრული სამუშაო სტაჟი მოიცავს 30 წელს. დაახლოებით 12 წლის განმავლობაში ვმუშაობდი ადმინისტრაციულ ასისტენტად, საინფორმაციო მენეჯერად, თარგმან რეფერენტად სხვადასხვა ორგანიზაციაში. ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტში ეკონომიკური პოლიტიკისა და სამართლებრივი საკითხების ქართულ-ევროპული საკონსულტაციო ცენტრი (GEPLAC) და ასევე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში (საია-GYLA) ვმუშაობდი საინფორმაციო მენეჯერად და ადმინისტრაციულ ასისტენტად, ასევე ვხელმძღვანელობდი ორგანიზაციის ბიბლიოთეკას და ვებ-გვერდს. ვთარგმნიდი დოკუმენტაციას და საჭირო ინფორმაციას ვებ-გვერდისათვის, ვხელმძღვანელობდი საორგანიზაციო საკითხებს. თბილისის წიგნის 14-ე საერთაშორისო გამოფენაზე წარმოვადგინე გაეროს გამოცემებს, ვიყავი მონაწილე მოკლევადიან ექსპერტად, ხელშეკრულების საფუძველზე ვმუშაობდი ქართულ კომპანია ყაზბეგის პრეზიდენტის თარგმან რეფერენტად „თოფაძე და კომპანია“-ში, სადაც ვასრულებდი, როგორც მთარგმნელობით სამუშაოს ასევე ადმინისტრაციით გათვალისწინებულ ვალდებულებებს.



ამჟამად ვმუშაობ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამეცნიერო დეპარტამენტში: ნაგებობების, სპეციალური სისტემების და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტში თარგმან-რეფერენტად.

რელიგია

გადადის თუ არა წინაპართა ცოდვა შთამომავლობაზე და კის მოკითხება დანაშაული

ყველას გვსმენია, რომ წინაპართა ცოდვები შთამომავლობას მოეკითხება. თუ ცხოვრებაში არ გავვიმართლა, გვგონია, რომ წინაპართა ცოდვის გამო ვისჯებით.

მართლაც გადადის თუ არა ცოდვა შთამომავლობაზე და როგორ უნდა დავიცვათ თავი. ამ საკითხებზე წმინდა ამბროსი აღმსარებლის სახელობის მამათა მონასტრის წინამძღვარი, ღვთისმეტყველების მაგისტრი წმინდა ამბროსი აღმსარებლის სახელობის სულიერებისა და კულტურის ცენტრის ხელმძღვანელი მღვდელ-მონაზონი ანდრია (სარია) გვესაუბრება:

- ეს საკითხი დიდ დაინტერესებას იწვევს და მუდმივად განსხვავებული პასუხები გვხვდება. გადადის თუ არა გენეტიკურად წინაპართა პირადი სულიერი მდგომარეობა მათ შთამომავლობაზე და შესაძლებელია თუ არა, რომ წინაპრების მძიმე პირადი ცოდვების მიზეზით წარწყმდეს მისი სისხლისმიერი შთამომავლობა, ე. ი. მამის ცოდვისათვის წარწყმედას მიეცეს ოჯახი, შვილები. წმინდა წერილში ამ საკითხს უამრავი მაგალითი მოეძებნება: „ძენი არა მოკუდენ მამათათვის, თითოეული თვისითა ცოდვითა მოკუდეს“ (II სჯ. 24. 16). მეორე თვალსაზრისიც არსებობს: „და მოჰხადნა ცოდვანი მამათანი შვილთა ზედა და შვილისშვილთა მესამედ და მეოთხედ ნათესავამდე“ (გამ. 34. 6-7). პავლე მოციქული ბრძანებს: „ადამში ყველამ სცოდა“, პირველად როდესაც დაეცა ადამი, მთელმა კაცობრიობამ დაკარგა სინათლე, ვინაიდან პირველმშობელი გახლდათ ადამი და მან სიბნელე აირჩია. იუდეველებს ისიც მიაჩნდათ, რომ ადამიანი ბრმა თუ დაიბადებოდა, ეს მისი მშობლების ბრალი იყო, მაგრამ ეს შეგნება დაურღვია ქრისტემ და უთხრა შემკითხველებს: არც ამან შესცოდა და არც მშობელთა მისთა (ინ. 9. 3). ნებისმიერი ცოდვის მიდრეკილებები შემოდის მშობლისგან შვილზე, მაგრამ არჩევანი მასზეა თუ საითკენ მიიღრეკება: ცოდვას დაუხრის თავს, ან შეეწინააღმდეგება. მამაჩემი სიძვეთ ან ლოთობით რომ შესცოდავს, ის ჩემს სულზე არ გადმოდის. ასე რომ იყოს, აღსარებაში მშობელთა ცოდვებს უნდა ვინანიებდეთ მუდმივად. თუმცა, მათ მიერ ჩადენილ უკუღმართობას თუ ვამართლებთ, ამ შემთხვევაში იგივე ცოდვით შეპყრობილნი ვხდებით. უფალს შენდობა უნდა ვთხოვოთ მათ მიერ ჩადენილ უკუღმართობაზე, მუდმივად გადავიხადოთ პანაშვიდი მათი

სულისთვის.

- ხშირად ამბობენ, წინაპართა ცოდვები შვიდ თაობაზე ან ცხრა თაობაზე გადადისო, რამდენად მართალია და რომელი ცოდვა შეიძლება იყოს ეს?

- პირველქმნილი ცოდვა ყველაზე გადმოდის, მიუხედავად ასაკისა, მაგრამ ნათლობით იწმინდება ადამიანის სული. მშობლების ცოდვების გამო არასდროს ისჯება შვილი, რა-

მშობლის პირადი ცოდვები ჩვენ არა გვაქვს მოსანანიებელი, ადამიანი თავის ცოდვებზე აგებს პასუხს. თუმცა ზემოქმედება მუდმივად განიცდება და უფალი მოგვეკითხავს უმოქმედობას, ცოდვებისადმი მიმდევრობას. კანის შთამომავლობა გამოორჩეული იყვნენ მზაკვრობაში, ხოლო სეითისა რჩეული ადამიანებით იყო „დაკომპლექტებული“, ვინაიდან ისინი მისდევდნენ მამათა გზას. ქამის

სისხლამდე ბარაქიას ძისა, ზაქარია, რომელიც მოჰკალით ტაძარსა და საკურთხეველს შორის (მთ. 23. 35). იმ მოდგმას მოეთხოვება, როდესაც სინანული არ აქვთ და პირიქით, არც რამეს მოქმედებენ გარდაცვლის სულზე. მუდმივად უნდა იხადონ პანაშვილები, უფალს სთხოვონ შენდობა მათი ოჯახის წევრისგან ჩადენილი ცოდვის გამო, ებრაელებივით არ უნდა სთქვან: მაგის სისხლი ჩვენ-



ოდენ მძიმეც არ უნდა იყოს. რალა თქმა უნდა, შედეგები და მიდრეკილებები ექნება პატარას მამისეული ცოდვებისკენ. მშობლების სულიერი მდგომარეობა აისახება შვილის სულზეც. მამის ცოდვას ვინც გაყვება, მას აუცილებლად მოეკითხება, ვინაიდან საკუთარი ნებით შთამომავლობას გადასცემს უღმერთობას. უფალი ადამიანის გულს ხედავს და გულის ქმედებებით განისჯება: რა-შიც გპოვებ, იმაში განგსჯი, - გვითხრა უფალმა. ადამის დაცემამ სამყაროში ხრწნა შემოიტანა, დალბა არა მარტო ადამიანი, არამედ ატმოსფეროც, დაბინძურდა ჰაერი, შეიცვალნენ ცხოველები. ერთი ადამის ცდომამ დააკოჭლა ქვეყანა. ეს ცოდვა ნამდვილად გადმოდის ჩვენზე და ამიტომაც ვამბობთ, რომ ნათლობით აღიხოცება მხოლოდ. მოუნათლავ ადამიანს მოეკითხება სიბნელეში სიარული. რჯულისმიერად ყველას მოგვეთხოვება ნათლობა.

გამო იწყებება მისი მოდგმა, ვინც მის გზას გაყვება. დავითის შეცოდების გამო 70 000 ადამიანი იღუპება, მაგრამ მისი სინანულით აღდგენილი იქნება სინმინდე (2 მეფ. 24). ცოდვილი სული უნდა მოკვდეს, შვილი მამის დანაშაულის გამო არ უნდა დაისაჯოს, არც მამა შვილის დანაშაულის გამო არ უნდა დაისაჯოს: მართლის სიმართლე მასზე იქნება, ბოროტეულის სიბოროტე მასზე იქნება (ეზეკ. 18. 20). ადამიანი რასაც აირჩევს, იმას მოიმკის, შეუძლია მამის გზა უარყოს და ჭეშმარიტებას შეუერთდეს.

- ვთქვათ ვიცით, რომ ჩვენმა წინაპარმა ვიღაც მოკლა... თავად ცოცხალი აღარ არის და ვერ მოინანია. შთამომავლობამ რა შეიძლება გააკეთოს?

- მკვლელობა ყველაზე სასტიკი ცოდვაა, უფალი ბრძანებს: რათა მოინოს თქვენზე ამ ქვეყნად დათხეული ყოველი მართლის სისხლი, აბელ მართლის სისხლიდან ვიდრე

ზე და ჩვენს შვილებზეო... უმეტესად, გულის ხმამალალი ცრემლით მუდმივად შეაგზავნონ გარდაცვლის სახელი წირვის ჟამს. მღვდელს სთხოვონ მუდმივი წირვები მის სახელზე. ეს არის ნამდვილი, ქრისტიანული თავდადება. ადამიანს წავართვით ღვთისგან ნაჩუქარი სიცოცხლე, ჩვენი ვალა სულიერი სიცოცხლის ჟამს ლოცვითი სათნოებები შევმატოთ. გასცენ მოწყალეობა მოკლულის სახელზე, ოჯახის წევრებს აუცილებლად დაუზავდნენ, მაგათმა თუ არ მიიღეს ეს დიდს არ ნიშნავს, ჩვენი გული აღსავსე ქრისტიანული სვლით მუდმივად სინმინდისკენ უნდა იხრებოდეს და ვავსებდეთ. ღმერთი გამგონს უგონებს.

ესაუბრა **თეა ცაბურიშვილი**
წყარო: <http://www.mshoblebi.ge/sa-mkithkhvel-o-brdznuli-rchevebi/3980-gadadis-thu-ara-tsinapartha-co-dva-shthamomavlobaze-da-vis-moeki-thkheba-danashauli.html>

მხატვარი ირმა ლომაური - ჩვენი ქვეყნის ბედი და უბედობა ჩემთვის განსაკუთრებულ ინტერესის სფეროს წარმოადგენდა.



სულაც არ მისწავლია, მაგრამ კომკავშირის მდივანმა სიამაყით გადმოგვცა კომკავშირელის საპატიო მანდატი.

შინაგანი უკმაყოფილება არ მასვენებდა, რატომ იყო „დედა რუსეთი“, ესოდენ მნიშვნელოვანი ქართველი-სათვის? მუდამ მძულდა საინფორმაციო გადაცემა „ვრემია“, რობოტა და რობოტუნა წამყვანები მხოლოდ პირს რომ ატოკებდნენ...

როდესაც დიდოსტატ კონსტანტინე გამსახურდიას ლიტერატურული ნაწარმოები „დიდოსტატის მარჯვენა“ და ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილები“ ვისწავლე, მაშინ ჩავუღრმავდი ჩვენი ქვეყნის მძიმე ისტორიას. დავასურათე ჩემი ნახატის პერსონაჟები, შორენა თავთუხისფერი თმებით და არაერთი სიუჟეტი.

ბებიჩემი ძალიან მორწმუნე იყო, დაგვატარებდა ეკლესიებში და გარშემო ვუფლიდით ღვთისმშობლის სახელობის დაკეტილ ტაძარს. გვიკვირდა, რატომ იყო დაკეტილი; გვიყვებოდა უფალ იესო ქრისტეზე, როგორ აწამეს ღმერთი ჩვენი, გადმოგვცემდა სხვადასხვა ამბებს ჩვენი ქვეყნის ისტორიული წარსულიდან.

ეზოში, კაკლის ჩრდილის ქვეშ ვიჯექი და ვხატავდი სასურველ სიუჟეტებს.

დრო გავიდა, ჩემი ფიქრები საქართველოს ისტორიის ირგვლივ ტრიალებდა: შემორჩენილ ნასახ-

ლართა ფრამენტებზე თუ ნაქალაქარებზე, უძველეს ციხე-გალავნებზე, „უქარქაშო ხმლებზე“ და მრავალგზის სისხლით მორწყულ მინაზე. რამ გადაგვარჩინა? რაიც მინდოდა გამომეცა: რატომ გადავრჩით, როგორ გადავრჩით... ჩემს შემოქმედებაში არ მინდოდა ყოფილიყო მხოლოდ ფანტაზია-ილუზია, არამედ რეალობა და სინამდვილე, რატომ გადავრჩით.

უმცირესზე უმცირესი გავაკეთე ამის გადმოსაცემად. საკვირველია ერთი რამ, გქონდეს შენი სამშობლოს სულისშემძვრელი ისტორია და გულგრილი იყო იმის მიმართ, ვისაც შეუძლია თავის ქვეყანას ემსახუროს. მსოფლიოს აჩვენო ის, რომ საქართველო მთელი კაცობრიობის ისტორიის განმავლობაში ისევე დგას თავის საძირკველზე, ქრისტიანული სულითა და დაუწყურებელი ტკივილებით.

მინდოდა აღმეწერა ჩვენი ეროვნული სამოსი და არა აზიური, რომელიც ღრმად შემოიჭრა შუა საუკუნეების საქართველოში, როგორც დამპყრობლების გავლენით, ასევე სავაჭრო ურთიერთობებითაც.

სულმუდამ გვმლიდნენ, გვანგრევდნენ ჩვენი მოძულენი, მაგრამ ღვთიური ზეთითა და სისხლით პოხილია ჭეშმარიტი ქართული გენი, ქართული სული, რითაც ვლდგებოდით...

თქვენს სამსჯავროზე გამომაქვს ჩემი ნახატები:

1. თამარ მეფე ბასიანის ბრძოლის წინ
2. ლეგენდა გორგასალზე
3. მოქცევა ქართლისაი
4. დიდგორის ბრძოლა
5. არგონავტები კოლხიდაში



დაბეჭდილ წერილებში მოყვანილ ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებლები არიან ავტორები.

გაზეთი გამოდის შემონირულობებით

რედაქტორი ლეილა ცომაია
საკონტაქტო ტელეფონი: 92 36 55

ვებგვერდი: <http://ganmatavisuflebeli.webs.com>
ელ. ფოსტა: ganmatavisuflebeli@yahoo.com